აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№15 (25.143) 19 აპრილი, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

ამირან კახიძისა და შოთა მამულაძის ხსოვნას მიეძღვნა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ არქეოლოგიურ სემინარს დაესწრო, რომელიც აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა და ცნობილი არქეოლოგების ამირან კახიძისა და შოთა მამულაძის ხსოვნას მიეძღვნა

- ტრადიციად იქცა ბათუმში კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სემინარის ორგანიზება. მისასალმებელია, რომ მასშტაბები და ფორმატი ფართოვდება. სამწუხაროა, რომ წელს ორი გამოჩენილი მეცნიერი, ბატონი ამირან კახიძე და ბატონი შოთა მამულაძე დაგვაკლდა, თუმცა, მსურს, მათი სახელების უკვდავსაყოფად, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმს მიენიჭოს ბატონი ამირან კახიძის, ხოლო სამეცნიერო კვლევით ცენტრს ბატონი შოთა მამულაძის სახელი, რაც კიდევ ერთხელ აღნიშნავს მათ წვლილს და დამსახურებას ამ დარგში.

ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ნამდვილად არის სიმდიდრე, რომლითაც თითოეული ჩვენგანი ვამაყობთ, რომელიც წინაპრებმა შემოგვინახეს ასე რუდუნებით. როცა ჩვენ გვაქვს ევროპულ ოჯახში სრულფასოვანი წევრობის მისწრაფება, ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი. ჩვენი მემკვიდრეობა არის იმ იდენტობის განმსაზღვრელი, რომელიც იდენტურია ევროპულ კულტურასთან და ეს არის კიდევ ერთი ძალიან ძლიერი არგუმენტი, თუ რატომ ვიმსახურებთ, გავხდეთ ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი, - აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ.

სემინარში მონაწილეობდნენ როგორც ბათუმის, ისე საქართველოს სხვა რეგიონების მკვლევარები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბოლო პერიოდის კვლევებსა და შესწავლილ ძეგლებს.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. მიმდინარეობს აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაცია, მუზეუმ-ნაკრძალების ინფრასტრუქტურის მოწყობა, არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ძეგლების მარკეტინგული მხარდაჭერა.

ჯაბა ფუტკარაძემ სამინისტროს 2023 წლის საქმიანობა შეაჯამა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„მინისტრის საათის“ ფარგლებში, აჭარის საკანონმდებლო ორგანოში, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე სამინისტროს საქმიანობის შესახებ მოხსენებით წარსდგა

მინისტრმა უწყების მიერ განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა, ასევე სამომავლო გეგმებზე, რომელიც რეგიონის ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

ჯაბა ფუტკარაძის ინფორმაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 541 949 400 ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 542 562 900 ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100,1 პროცენტია. მისივე ინფორმაციით,

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა 649 100 000 ლარით განისაზღვრა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 19,8 პროცენტითაა გაზრდილი.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის 2023 წლის შემოსავლების გეგმა 501 533 700 ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ 505 363 700 ლარი შეადგინა, ანუ გეგმა 100,8 % შესრულებულია. რაც შეეხება 2023 წლის საშემოსავლო გადასახადის გეგმას, ის 480 000 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ - 482 889 900 ლარი, ანუ გეგმის 100,6 პროცენტი შეადგინა, - აღნიშნა ჯაბა ფუტკარაძემ.

მინისტრმა ასევე ისაუბრა 2023 წლის განმავლობაში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის გაზრდის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებაზე, აჭარის რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ გადაღებულ ვიდეორგოლზე. მინისტრის ცნობით 2023 წელს დასრულდა 12 გზის (30.705 კმ) და მიმდინარეობს 7 გზის (21.417 კმ) ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

2023 წელს 17 ხიდის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე - 122 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობა. 2023 წელს ასევე განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რომლის საკასო ხარჯმა 21 519 600 ლარი შეადგინა.

იხ. მე-2 გვ.

თორნიკე რიჟვაძის პირველი კომენტარი ბოლოდროინდელ მოვლენებზე

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მეორედ გახდა პროტესტის საბაბი, საქართველოს პარლამენტმა 83 ხმით, პირველივე მოსმენით მხარი დაუჭირა

კანონპროექტის განხილვას მოსახლეობის მხრიდან პროტესტი მოჰყვა. რამდენიმე დღეა, რუსთაველის გამზირზე, მთავრობის კანცელარიასთან ყოველდღიურად იმართება მიტინგები ლოზუნგით „არა რუსულ კანონს“. აქციის მონაწილეებს და პოლიციას შორის იყო დაპირისპირება, დაშავებულებს შორისაა როგორც დემონსტრანტები, ისე პოლიციელები.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი გააპროტესტეს ბათუმშიც. ევროპის მოედანზე შეკრებილებმა ქვეყნის ხელისუფლებას მოუწოდეს, უარი თქვან იმ ქმედებებზე, რაც, მათი თქმით, ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება და კიდევ უფრო დაგვაახლოებს რუსეთთან.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან პირველი კომენტარი გააკეთა. თორნიკე რიჟვაძე თანაგუნდელების პოზიციას იზიარებს და ამბობს, რომ ეს კანონი ეფუძნება ქვეყნის ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს და სუვერენიტეტს. მისი თქმით, სწორედ ეს იქნება საფუძველი, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი. ქართველ ხალხს აქვს უფლება, იცოდეს ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ორგანიზაციები საიდან იღებენ დაფინანსებას და რა კონკრეტულ ინტერესებს ემსახურებიან. თორნიკე რიჟვაძემ პოლიციის რეაგირებაზეც გააკეთა კომენტარი. თქვა, რომ მათი მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონის სულისკვეთებაში ყველა დაინტერესებული პირი გაერკვეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ჩვენს ქვეყანაში მოქმედი იურიდიული პირი, წლის ჭრილში ადეკლარირებდეს იმ შემოსავლებს, რომლებიც მიღებულია უცხოეთიდან. როგორც მოეთხოვება მთავრობას გამჭვირვალობა, ასევე მოეთხოვება ყველას. ვინც საჯარო სფეროში მოღვაწეობს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ წლიურად ახდენდეს ამ შემოსავლების დეკლარირებას. ეს არ ქმნის პრობლემას ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც გრანტებით და სხვა დახმარებებით ახორციელებენ მათ საქმიანობას, იღებენ განათლებას. თუმცა, არსებობს ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც წლის განმავლობაში, მალავს ინფორმაციას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კანონის საფუძველზე დარეგულირდეს მათი შემოსავლები. როგორც მოგეხსენებათ, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, მთავრობის აბსოლიტურად ყველა განკარგულება, სამართლებრივი აქტი, არის საჯარო, შესაბამისად, ამ ნაწილში ძალიან ღია და გამჭვირვალეა მთლიანად სამთავრობო სტრუქტურები.

მე ვმუშაობდი კომერციულ ორგანიზაციაში და აბსოლუტურად ყველა ის ტრანზაქცია, რომელიც ხორციელდებოდა, იყო გამჭვირვალე და დეკლარირებული. აქ, მოგეხსენებათ, საუბარია არასამთავრობო სექტორზე, მათ შორის მედიის საშუალებებზე, რომლებიც 20%-ზე მეტ დაფინანსებას იღებენ უცხოეთიდან. შესაბამისად, ეს კანონი ეფუძნება ქვეყნის ძირითად ფუნდამენტურ პრინციპებს, სუვერენიტეტს და, რა თქმა უნდა, ყველა უნდა დაინტერესდეს და ღრმად ჩაიხედოს ამ კანონში, მის სულისკვეთებაში“, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ.

მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, საჯარო სივრცეში მოქმედი ყველა ორგანიზაცია უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, რადგან ქართველ ხალხს უფლება აქვს იცოდეს, საიდან ფინანსდება ეს ორგანიზაციები და რას ხმარდება თანხები.

ჩვენ „გაპრავების“ საჭიროება არ გვიდგას, თქვენგან განსხვავებით. თქვენ მოგიწევთ „გააპრავოთ“ ის დაფინანსებები კანონის საფუძველზე, რომელსაც იღებთ. გულწრფელია, ჩვენი აზრით, ახალგაზრდების, სტუდენტების სულისკვეთება.

იხ. მე-3 გვ.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„ამ კანონპროექტში საფრთხეს ხედავენ მხოლოდ ის არასამთავრობოები, რომლებიც დღესაც არღვევენ კანონს“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" დღეს საქართველოში ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემად იქცა. მოსაზრებები მასთან დაკავშირებით განსხვავებულია. ერთნი ფიქრობენ, რომ იგი თავისი შინაარსით ევროპული სტანდარტებისაა, ხოლო მეორენი პრორუსულ კანონპროექტად მიიჩნევენ. რეალურად რასთან გვაქვს საქმე, რა ნიუანსები იკვეთება და რა შეიძლება მოჰყვეს კანონის მიღებას, ამ საკითხებზე გავესაუბრეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარეს, უფლებადამცველ ***ნანა კაკაბაძეს.***

- კანონპროექტზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ოპოზიციას და მმართველ გუნდს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ, მთავრობა ფიქრობს, რომ კანონი ევროპულია, ოპოზიცია კი რუსულს უწოდებს. თქვენი შეხედულებით, რამ განაპირობა ამ კანონპროექტის უკვე მეორედ ინიციირება?

- მსგავსი შინაარსის კანონი, თავდაპირველად, ამერიკაში მიიღეს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ფაშისტებისა და კომუნისტებისგან მომდინარე საფრთხეებისგან დასაცავად. ეს კანონი იცავდა ამერიკას მტრულად განწყობილებისგან. ის დღესაც ეფექტურად მუშაობს და იცავს ყველა იმ პირისა თუ ორგანიზაციისგან, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს არაკეთილგანწყობა ამერიკისადმი, გამჭვირვალეს ხდის, ერთი მხრივ, მათგან შემოსული ფინანსების ხარჯვის ნაწილს და მეორე მხრივ, შინაარსს, თუ რა საქმიანობაში ჩაიდო ეს ფული.

- თვლით, რომ ეს კანონი მართლაც ანტიევროპულია?

- ეს კანონი ანტიევროპული შეიძლება იყოს ერთადერთ შემთხვევაში, თუ ევროპა გადაწყვეტს საქართველოს მიმართ მტრულ საქმიანობას. მაშინ ეს კანონი გამჭვირვალეს გახდის და გამოავლენს ქვეყნისთვის საზიანო განზრახვას. ყველა სხვა შემთხვევაში ეს კანონი არის უვნებელი ნებისმიერი კეთილმოსურნე ქვეყნისათვის, დამფინანსებლისათვისაც და თანხის მიმღებისთვისაც. გამჭვირვალობა არ შეიძლება იყოს ანტიევროპული და ანტიდემოკრატიული. კეთილი მიზნების შემთხვევაში, ის იქნება საამაყო ორივე მხარისთვის - გამცემისთვისაც და მიმღებისთვისაც.

- თქვენი აზრით, არის თუ არა გამჭვირვალე, ამ ეტაპზე, არასამთავრობო სექტორის შემოსავლები და მათი ხარჯვის მიზნობრიობა? თუ ასეა, რას ემსახურება აღნიშნული კანონი?

- ძნელად დასაჯერებელია, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა არის გამჭვირვალე, ერთი იმის გამო, რომ მათ კანონი ამას არ ავალდებულებს. მათი ნებაა, რას გახდიან გამჭვირვალეს თავიანთი საქმიანობიდან. არიან არასამთავრობოები, რომლებიც კანონის დარღვევით ჩართულები არიან პოლიტიკაში. ასეთ არასამთავრობოებს რატომ ექნებათ სურვილი, საკუთარი ნებით გაასაჯაროონ არაკანონიერი საქმიანობა და მიზნები? აღნიშნული კანონი ემსახურება იმას, რომ ორგანიზაციები გახადოს ანგარიშვალდებული და სურვილის შემთხვევაში, ვერ მოახერხონ ქვეყნისთვის საზიანო ქმედებების განხორციელება. მთავარი აქ არის არა მიღებული თანხების ოდენობა, არამედ მათი გამოყენების მიზნობრიობა. მაგალითად, „ფარას“ კანონი მოითხოვს, არა მარტო ლობირებისთვის მიღებული თანხის ოდენობა და მიზნობრიობა აჩვენოს, არამედ განხორციელებული აქტივობებიც. ალბათ გახსოვთ, რა დეტალურად იყო ჩაშლილი სააკაშვილის ლობისტების ანგარიშში, თუ ვის და რა მიზნით უნდა შეხვედროდნენ სააკაშვილის მიზნების ლობირებისთვის, შეხვედრისას რა საკითხს განიხილავდნენ და, ასევე, ის, თუ რის მეღწევა სურდათ შეხვედრის ობიექტისგან, ამასთან, აღწერილი იყო, რა შედეგებს მიაღწია შეხვედრამ, რა ოდენობის თანხა აიღეს ამ აქტივობაში და ა.შ.

- ერთ-ერთმა დეპუტატმა ჩვენთან საუბარში თქვა, რომ მსგავსი კანონპროექტის ინიციირებისას არასამთავრობოებმა პირობა მისცეს მმართველ გუნდს, რომ შემოსავლებს არ დამალავდნენ, მაგრამ პირობა არ შეასრულეს. რას იტყვით ამაზე?

- ეგ მთლად სწორი არ არის. როგორც მე ვიცი, ასეთი პირობა დადეს გრანტების გამცემებმა და მათ არ შეასრულეს. საერთოდ, სიტყვაზე ნდობა არ ამართლებს. ეს ასე რომ იყოს და ადამიანების მიერ მოცემულ სიტყვაზე დაჯერება ამართლებდეს, მაშინ კანონები ხომ არ იქნებოდა საჭირო?

- არის მოსაზრება, რომ კანონპროექტით უნდა კონტროლდებოდეს მტრული სახელმწიფოებიდან შემოსული დაფინანსება და არა მეგობრულიდან. რამდენად შესაძლებელია და გამართლებულია ასეთი კლასიფიცირება თქვენი აზრით?

- ასეთი კლასიფიკაცია, ერთი მხრივ, სიბრიყვეა და, მეორე მხრივ, არასწორია, ვინაიდან პოლიტიკაში არ არსებობენ მტრები ან მეგობრები. პოლიტიკაში არსებობს ინტერესები. დღეს შენი მტერი ხვალ შეიძლება მოკავშირეც გახდეს და პირიქით. ასე მოხდა აშშ-შიც. დღეს აღარ არსებობენ ფაშისტები და კომუნისტები, მაგრამ „ფარას“ კანონი წარმატებით მუშაობს ამერიკაში. თუ ეგ თეორია სწორია, მაშინ რატომღა მუშაობს „ფარას“ კანონი დღეს?

- არის თუ არა კანონპროექტში ორაზროვანი ან ბუნდოვანი ადგილები ინტერპრეტაციისთვის?

- ეს კანონპროექტი არის არასრულყოფილი და ის ვერ დაიცავს ქვეყანას ისეთი საფრთხეებისგან, როგორისგანაც „ფარა“ იცავს აშშ-ს. ამ პროექტს სასურველი ეფექტი ექნება იმ შემთხვევაში, თუ „ფარას“ თარგმნიან და მიიღებენ ისეთს, როგორიც მუშაობს ამერიკაში. შეიძლება, „ფარას“ მოვხსნათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ დანარჩენი იგივე უნდა დარჩეს.

- რა შესწორების შეტანა შეიძლება კანონპროექტში, რომ ნაკლები მიზეზი იყოს მის რუსულად მისაჩნევად?

- ამ კანონს, კანონის არმიღების მსურველებმა რუსული დაარქვეს სტიგმატიზებისთვის და არა კანონში არსებული შინაარსისთვის. კანონი რუსულია, თავისთავად ნიშნავს სიბრიყვეს. ნებისმიერ კანონს შეგიძლია უწოდო რუსული როგორც საქართველოში, ისე მთელს მსოფლიოში, დაწყებული სისხლის სამართლის კოდექსიდან, დამთავრებული პოლიციის შესახებ კანონით. რაც შეეხება შესწორებას, როგორც ცნობილია, სიტყვა „აგენტები“ ამ კანონპროექტში უკვე შერბილდა და შეიცვალა ტერმინით „უცხოური გავლენა“, მაგრამ რადგან გრანტის მიმღებები თვლიან, რომ „უცხოური ძალების ინტერესების გამტარებლად“ მათი მოხსენიებით მოხდება არასამთავრობო ორგანიზაციების სტიგმატიზაცია, შესაძლებელია ეს ტერმინიც შეიცვალოს - მაგალითად, „უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციებით“.

- თქვენი აზრით, რა საფრთხეს ხედავენ არასამთავრობოები ამ კანონპროექტში?

- ამ კანონპროექტში საფრთხეს ხედავენ მხოლოდ ისეთი არასამთავრობოები, რომლებიც დღესაც არღვევენ კანონს. მაგალითად: კანონის მოთხოვნაა ა/ო იყოს არაპოლიტიკური. ისინი კი პირდაპირ არიან ჩართულნი პოლიტიკაში, რითაც წინააღმდეგობაში არიან დღეს არსებულ კანონთანაც, ანუ ისინი, ვინც „ფარას“ კანონის შინაარსიდან გამომდინარე, ხედავენ იმას, რომ მოუწევთ კანონის დარღვევა მათი საქმიანობიდან გამომდინარე და ბუნებრივია, ეწინააღმდეგებიან მის მიღებას. ისინი ხელოვნურად აპელირებენ რუსეთზე, სადაც მსგავსი კანონი არასამთავრობოების რეპრესირებისთვის გამოიყენეს, მაგრამ საქართველოსა და რუსეთის შიდა მდგომარეობა პოლიტიკური, ეკონომიკური, მენტალური თუ სხვა კუთხით რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რის გამოც საქართველოში მსგავსი საფრთხე არ არსებობს.

- როგორ ფიქრობთ, ვინც აპროტესტებს და ამბობს, რომ რუსულ კანონთან გვაქვს საქმე, ყველას წაკითხული და გააზრებული აქვს აღნიშნული კანონპროექტი?

- ეს კანონი მათ აბსოლუტურ უმრავლესობას წაკითხული არ აქვს, რაც ჩანს მათ ინტერვიუებში, მაგრამ იციან „ფარას“ შინაარსი, იქიდან გამომდინარე, რომ ამ კანონმა ამხილა სააკაშვილი და კეზერაშვილი საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაში. ამათ სწორედ აქედან გამომდინარე არ სურთ ეს კანონი.

- შეზღუდავს თუ არა კანონპროექტის რომელიმე მუხლი აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას?

- აზრის გამოხატვის უფლებას დღეს ვერანაირი კანონი ვერ შეზღუდავს, მათ შორის ვერც ეს, ვინაიდან აზრის თავისუფალი გამოხატვა დაცულია კონსტიტუციით და იმ საერთაშორისო ნორმებით, რომლებსაც ჩვენ ვართ მიერთებული.

- კონკრეტულად, რით განსხვავდება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ევროპული ან ამერიკული ანალოგისგან?

- როგორც უკვე გითხარით, ჩვენი პროექტი არის გამოშიგნული „ფარასთან“ და თუნდაც ევროპულთან შედარებით. ასევე არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე, რაც განასხვავებს მას ამერიკულისგან.

- აშშ-ის ელჩ რობინ დანიგანის თქმით, ეს არ არის ამერიკული კანონპროექტი და გაშინგტონი მიიჩნევს, რომ იგი საქართველოს ევროპული გზიდან გადაახვევინებს. ასევე, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებიც აცხადებენ, რომ ეს პროცესი აფერხებს ქვეყნის ევროინტეგრაციას. რას იტყვით ამის შესახებ?

- ის, რომ ეს კანონპროექტი აღელვებს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს, ცუდად მეტყველებს თავად პარტნიორებზე და არა - კანონპროექტზე.

- თქვენი აზრით, რატომ არ მოსწონთ დასავლელ პარტნიორებს აღნიშნული კანონპროექტი, ან ხომ არ თვლით, რომ დასავლეთის ყველა წარმომადგენელი ასე არ ფიქრობს?

- ეს კანონპროექტი შესაძლებელია არ მოსწონთ პარტნიორი ქვეყნების ისეთ წარმომადგენლებს, რომლებსაც არა პარტნიორული, არამედ კოლონიური და მონური დამოკიდებულება სურთ ჩვენი ქვეყნისგან, სურვილი აქვთ, ჩაერიონ ჩვენი ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ისეთი დოზითა და ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მმართველობაში მათთვის სასურველი, მორჩილი ხელისუფლების მოყვანას.

- თქვენი მოსაზრებით, ამ კანონპროექტის მიღების შემდეგ რა რეაქცია ექნებათ ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს (აშშ, ევროკავშირი)?

- მათ მოუწევთ იმის გაცნობიერება და იმასთან შეგუება, რომ საქართველო არის სუვერენული ქვეყანა და ის თვითონ წყვეტს, როგორი კანონებით სურს იცხოვროს. რა თქმა უნდა, კანონები უნდა იყოს სრულ შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან, რაც ამ შემთხვევაში სრულად გათვალისწინებულია.

- დაბოლოს, თუ კანონპროექტი მიიღეს, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს ქვეყანაში?

- მიღებამდე მას აქვს და კიდევაც ექნება დიდი წინააღმდეგობა. მიღების შემდეგ დესტრუქციული მუხტი განილევა და არაკეთილმოსურნენი დაიწყებენ ახალი ხვრელების ძებნას ბინძური საქმეების გასაგრძელებლად.

> *„ძნელად დასაჯერებელია, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა არის გამჭვირვალე, ერთი იმის გამო, რომ მათ კანონი ამას არ ავალდებულებს. მათი ნებაა, რას გახდიან გამჭვირვალეს თავიანთი საქმიანობიდან. არიან არასამთავრობოები, რომლებიც კანონის დარღვევით ჩართულები არიან პოლიტიკაში. ასეთ არასამთავრობოებს რატომ ექნებათ სურვილი, საკუთარი ნებით გაასაჯაროონ არაკანონიერი საქმიანობა და მიზნები?*

ჯაბა ფუტკარაძემ სამინისტროს 2023 წლის საქმიანობა შეაჯამა

პირველი გვერდიდან

მინისტრმა გამოსვლის დროს არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის 2023 წელს სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, ე.წ. „ოცნების ქალაქის“ მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებზე,

2023 წელს აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირების საკითხზე, კონკრეტულად კი შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობაზე:

- 2023 წელს ტურიზმის დეპარტამენტმა განახორციელა სარეკლამო საინფორმაციო ტურები, რომლის ფარგლებში აჭარის რეგიონს სტუმრობდნენ მედიის და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. შედეგად მომზადდა 36 ონლაინსტატია, 50 რილზი, 200 სთორი, 20 პოსტი და 2 სიუჟეტი. რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 23 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში. აჭარის რეგიონი და რეგიონის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ პლატფორმაზე. განხორციელდა სატელევიზიო სარეკლამო კამპანია ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ DEUTSCHE WELLE-ს გერმანულენოვან არხზე. ბათუმში წარმატებით ჩატარდა მსოფლიო ტურიზმის დაჯილდოების WORLD TRAVEL AWARDS-ის საიუბილეო, 30-ე ევროპის დაჯილდოების გალა ცერემონია, რომელსაც 500-მდე ქართველი და უცხოელი სტუმარი დაესწრო. განხორციელდა 6 სარეკლამო-საინფორმაციო ტური, რომლის ფარგლებში ბათუმსა და მაღალმთიან აჭარას 100-მდე მედიის წარმომადგენელი სტუმრობდა. მომზადდა 30-მდე სიუჟეტი და სტატია რეგიონის ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შესახებ, - თქვა თავის მოხსენებაში მინისტრმა.

შემდეგ ჯაბა ფუტკარაძემ დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. სხდომის ბოლოს უმაღლესი საბჭოს კომიტეტების თავმჯდომარეებმა 2023 წლის საქმიანობა შეაფასეს.

„კანონის მიზანია იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელისუფლებისგან განსხვავებულ აზრს აფიქსირებენ“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

ბოლო პერიოდში, საქართველოში მთავარ განსახილველ თემად „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი იქცა. საპარლამენტო განხილვების ფონზე მიმდინარე აქციები და მხარეების ფეისბუქპოსტებით ბრძოლა ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგია.

*რატომ არის კანონი რუსული, უქმნის თუ არა საფრთხეს ჩვენს ქვეყანას და რა მოლოდინი აქვთ არასამთავრობო სექტორში - ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ „მხარდაჭერისა და შესაძლებლობების განვითარების ცენტრის“ თავმჯდომარე **ციალა ქათამიძეს**.*

- ხელისუფლება და საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ არასამთავრობოებს არ გაქვთ კონკრეტული არგუმენტი, რატომ არის ეს კანონი რუსული. განგვიმარტეთ, რატომ მიგაჩნიათ, რომ კანონი რუსულია?

- საზოგადოებას შეუძლია კონკრეტული დასკვნის მარტივად გამოტანა. „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა ის, რომ მათ სიტყვას ფასი დაეკარგა, რადგან უნამუსოდ იტყუებიან. ადამიანები, რომლებიც ევროპულ სახელმწიფოში და ევროკავშირში წარმოადგენენ ძალას, გვეუბნებიან, რომ ეს კანონი არ არის ევროპული, ჩვენი ხელისუფლება კი გვიმტკიცებს, რომ ეს არის ევროპული. ყველა ჩვენი პარტნიორი სახელმწიფო ცდილობდა, ყოფილიყო ჩვენი საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის, მედიის მხარდამჭერი და, რა თქმა უნდა, აქვთ ინტერესი, მათი პარტნიორი ქვეყანა იყოს განვითარებული დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ, ცხოვრობდეს ყველა იმ სტანდარტით, რომელიც ეფუძნება ევროპულ თუ ამერიკულ ღირებულებებს. არსებობს კონკრეტული ევროპული ქვეყნების გამოცდილება. იმიტომ არის ეს კანონი რუსული, რომ ყველა, ვინც ფიქრობდა და ფიქრობს მმართველი გუნდისგან განსხვავებულად, სურთ, გამოაცხადონ უცხო ქვეყნის ინტერესის გამტარებლად, საზოგადოებას კი უთხრან, რომ ეს ემსახურება ქართულ სახელმწიფოს. არსებობს რუსული გამოცდილება მსგავსი ტიპის კანონთან დაკავშირებით. საზოგადოებას შეუძლია, მოუსმინოს ყველა იმ ადამიანს, რომლებიც რუსეთში ცხოვრობდნენ და მსგავსი ტიპის კანონის საფუძველზე მოუწიათ ქვეყნის დატოვება, შეუძლიათ მოძებნონ იუთუბზე, ინტერნეტის საშუალებითაც იმ ადამიანების ისტორია, რომელთა განსხვავებულ აზრს დევნიდნენ.

- თქვენი აზრით, კონკრეტულად რა საფრთხეებს უქმნის ეს კანონი საქართველოს?

- მე, მაგალითად, და ალბათ ბევრი ადამიანი, რომელიც სამოქალაქო და მედიაორგანიზაციაში მუშაობს, არ აპირებს ერთი დღეც კი იმუშაოს იმ ორგანიზაციაში, რომელიც ატარებს უცხო ქვეყნის ინტერესებს. მე, პირველ რიგში, მაქვს ღირსება და ვთვლი, რომ რასაც უნდა ვაკეთებდე, ჩემი საქმიანობის მთავარი მოტივი იყო და არის სხვადასხვა ტიპის სიკეთის შექმნა ქართული სახელმწიფოსთვის. ყველას შეუძლია, გააკეთოს არჩევანი, უღირს თუ არა ასეთი საქმიანობის შეწყვეტა, მე პირადად არ მიღირს. ჩვენს ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანია მთავრობისგან განსხვავებული, ალტერნატიული სიმართლის გაგება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ჩვენი პარტნიორი ქვეყნებისთვის და ამის გზა არის კრიტიკული მედიის არსებობა. თუ აღარ იარსებებს ამ ქვეყანაში მედია, რომელიც განსხვავებულ აზრს იტყვის, თუ არ იარსებებენ ადამიანები, რომლებიც ობიექტურად შეაფასებენ მოცემულ ამბავს და ამას ყველაფერს დაერქმევა უცხო ქვეყნის ინტერესების გატარება, რეალურად, ამ ისტორიის ბოლო იქნება ის, რასაც ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში ზურიკელა ამბობს - მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებითო. საფრთხე ისაა, რომ განსხვავებული აზრი აღარ იარსებებს.

> *„ერთია, რომ ანგარიშვალდებული ხარ დონორი ორგანიზაციის მიმართ, რადგან პირველი ვალდებულება მასთან გაქვს, სანამ სახელმწიფომდე მივა. ყველა შემოსული თეთრის გასავალი უნდა იქნას დეკლარირებული. სახელმწიფომ თითოეული თეთრის შესახებ იცის, პირადად მამუკა მდინარაძეს ვერ ეცოდინება, რადგან იგი არ არის ის პირი, რომელმაც უნდა იცოდეს ზედმიწევნით ყველა თეთრის შესახებ*

- რა აქვს მას საერთო ამერიკულ „ფარასთან“ ან რა განასხვავებს?

- სიმართლე გითხრათ, „ფარა“ მიიღეს იმ წლებში, როცა სხვა ტიპის გამოწვევები არსებობდა, ამ შემთხვევაში ამერიკული და საუბარი იყო კონკრეტულ სახელმწიფოებზე, რომლებიც მაშინ ამერიკას ებრძოდნენ კონკრეტული პოლიტიკური მოტივებით. ამ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანები, მოტივები და პრაქტიკაც, რომელიც ამ კანონის რეგულაციაშია, არის საბჭოთა რუსულ ფულთან დაკავშირებული. „ფარაში“ ლობისტურ საქმიანობაზეა საუბარი და იმაზე თუ რა კონკრეტული ინტერესები გააჩნიათ მეზობელ თუ პარტნიორ ქვეყნებს.

- როგორ ფიქრობთ, რატომ დაიინიცირა მთავრობამ ხელახლა აღნიშნული კანონპროექტი წინასაარჩევნოდ?

- სხვადასხვა ტიპის კვლევა, რომელიც ქვეყნდება, გვეუბნება, რომ ძალიან ბევრ ადამიანს აქვს გადაწყვეტილი, არ მისცეს ხმა „ქართულ ოცნებას“, მართალია, არ გადაუწყვეტია, რომელ პარტიას მისცეს ხმა, თუმცა, რეალურად, ეს ხმები არ მიდის „ქართული ოცნების“ ყულაბაში, შესაბამისად, ამღვრეულ წყალში ბევრი თევზის დაჭერაა შესაძლებელი, რაც ძალიან სახიფათო თამაშია. ბევრჯერ გვინახავს ჩვენს ქვეყანაში, რომ ასეთი შემთხვევები მთავრობისთვის მთლად კარგად არ სრულდება. მთავრობას არჩევნებამდე უჭირდა მშვიდ გარემოში ყოფნა, რადგან ოპოზიციურ პარტიებს ამომრჩევლისთვის ხმის მიწვდენის შესაძლებლობა მიეცემოდათ.

- ბევრჯერ ითქვა, რომ აღნიშნული კანონის მიზანი სამოქალაქო სექტორის შევიწროებაა... კონკრეტულად სად იკვეთება ეს?

- შევიწროვდება კი არადა, საერთოდ აღარ იმუშავებს. არასამთავრობოების ძირითადი მხარდამჭერები და პარტნიორები არიან ევროპული თუ ამერიკული ფონდები. ამერიკელები და ევროპელები თვლიან, რომ ეს კანონი მათ მტერ სახელმწიფოდ აცხადებს, იმ ორგანიზაციებს კი, რომლებიც მათი პარტნიორები არიან - უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებლად. ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ შეუძლებელია ამ ფორმატით საქმიანობის გაგრძელება.

- არასამთავრობოები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული კანონპროექტი სიტყვის თავისუფლებასაც კრძალავს. თქვენი აზრით, კანონპროექტის რომელი ნაწილით შეიძლება ეს დავადასტუროთ?

- არ ვიცი, ასე, პირდაპირ, სიტყვის თავისუფლება იკრძალება თუ გამოხატვის. სიტყვის თავისუფლება იკრძალება თუ არა, არ არის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი და ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

- რამდენადაც ცნობილია, კანონპროექტიდან ამოღებულია სიტყვა „აგენტი“, რომელიც გასაგებ პროტესტს იწვევდა საზოგადოების დიდ ნაწილში. როგორ შეაფასებთ ამას და კიდევ რა უნდა შეიცვალოს კანონპროექტში, რომ იგი არასამთავრობოებისთვის, თუნდაც თქვენთვის, მისაღები გახდეს?

- კანონმა უნდა შეცვალოს სულისკვეთება. კანონის მიზანია იმ ადამიანების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელისუფლებისგან განსხვავებულ აზრს აფიქსირებენ. ამ კანონის სულისკვეთება არის საბჭოური და რუსული.

- მამუკა მდინარაძის თქმით, არასამთავრობოებმა მთავრობას მიეცით პირობა, რომ გამჭვირვალე იქნებოდა შემოსავლები, მაგრამ ეს პირობა არ შესრულებულა. რას უპასუხებთ უმრავლესობის ლიდერს?

- ეს არის ტყუილი, რადგან ყველაფერი ისედაც გამჭვირვალეა. მინიმუმ, სამი წელი ინახება ყველა ის დოკუმენტი, რომელიც არასამთავრობოებს პროექტის ფარგლებში აქვთ. ერთია, რომ ანგარიშვალდებული ხარ დონორი ორგანიზაციის მიმართ, რადგან პირველი ვალდებულება მასთან გაქვს, სანამ სახელმწიფომდე მივა. ყველა შემოსული თეთრის გასავალი უნდა იქნას დეკლარირებული. სახელმწიფომ თითოეული თეთრის შესახებ იცის, პირადად მამუკა მდინარაძეს ვერ ეცოდინება, რადგან იგი არ არის ის პირი, რომელმაც უნდა იცოდეს ზედმიწევნით ყველა თეთრის შესახებ. მამუკა მდინარაძე ამბობს, რომ ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, რაში იხარჯება უცხო ქვეყნის ფული, რომელიც შემოდის და მას ვეთანხმები. მე ვეუბნები მას, რომ უნდა იცოდეს ასევე ისიც, სად იხარჯება საქართველოს ბიუჯეტის ფული. არასამთავრობო სექტორის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება არის გამჭვირვალობაც. ჩემი კოლეგები დღემდე ელოდებიან სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციას, სად იხარჯება მათი ფული. საზოგადოებას მინდა მივმართო, ვისაც უჭირს, რომ მედიას ენდოს, თავად ნახოს მთავრობის სხდომები და თავად გადაწყვიტოს, იტყუება თუ არა მამუკა მდინარაძე ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

- არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების თქმით, ამ კანონში თუ იქნებოდა ჩანაწერი, რომ უცხოურ გავლენაში ანუ მესამე ძალაში იგულისხმება რუსეთი ან ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაშინ იგი საპრობლემო არ იქნებოდა, თუმცა მმართველ გუნდში განაცხადეს, რომ უცხოურ გავლენაში ყველა ქვეყანა იგულისხმება, მათ შორის, პირველ რიგში, რუსეთი...

- ჩვენი პარტნიორი ქვეყნები და რუსეთი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი აქვს ოკუპირებული, ერთ სიბრტყეში არ უნდა განვიხილოთ. სკოლიდან მოყოლებული გვასწავლიდნენ, რომ რუსეთი არ არის ჩვენი მეგობარი. თუ დავივიწყებთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია, თუ დავივიწყებთ 2008 წლის ომს, ამ შემთხვევაში, შეუძლიათ მიიღონ კანონი და შეუძლიათ ერთ სიბრტყეში განათავსონ მტერი და პარტნიორი ქვეყნები.

- საპროტესტო აქციაზე ისმოდა მოსაზრება, რომ არ აქვს მნიშვნელობა, რა კანონს მიიღებს ხელისუფლება, თუ ამდენი ხალხი მის წინააღმდეგაა, უკან უნდა გაიწვიოს კანონპროექტი. რამდენად სწორად მიგაჩნიათ მსგავსი პოზიცია?

- სხვა რომელ კანონთან დაკავშირებით გახსენდებათ აქცია? შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ საკითხი არის ძალიან სენსიტიური და ძალიან მნიშვნელოვანი ქართველი საზოგადოებისთვის.

- გასაგებია, რომ პროტესტის ტალღა გაგრძელდება. სხვა გეგმა თუ გაქვთ?

- ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩიხში აყენებს მთავრობა საზოგადოებას და ამ ქვეყნის განვითარების პერსპექტივას. ხელისუფლება უტუხად ამბობს ტყუილს და უტუხად ამტკიცებს შავზე თეთრს. წინასწარ ვერ გეტყვით ვერაფერს.

- როგორ შეაფასებთ ალეკო ელისაშვილის საქციელს, რომელმაც მამუკა მდინარაძეს მუშტი ჩაარტყა? რას დაარქმევდით მოსახლეობის ერთი ნაწილის სიხარულს ამ ფაქტთან დაკავშირებით? ძალადობა, თქვენი აზრით, გამართლებულია თუ არა?

- ვემიჯნები ყოველგვარ ძალადობას, რაც არ უნდა სამართლიანი ემოციის ან პოზიციის გამოხატულება იყოს. ვფიქრობ, ნებისმიერი ტიპის ძალადობა მიუღებელია.

- თქვენ თუ გქონდათ მოლოდინი, რომ ეს კანონპროექტი დაბრუნდებოდა დღის წესრიგში?

- სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ისევ მივუბრუნდებოდით ამას. „ქართულმა ოცნებამ“ სიტყვა გატეხა, რაც არაკეთილსინდისიერი საქციელია, თუმცა მათგან რეალურად, მსგავსი ტიპის საქციელს ხშირად ვაწყდებით.

თორნიკე რიჟვაძის პირველი კომენტარი ბოლოდროინდელ მოვლენებზე

პირველი გვერდიდან

ეს გასაგებია. რა თქმა უნდა, ჩვენ კომუნიკაციას არ დავაკლებთ, რომ კიდევ უფრო მეტად ავხსნათ, რამდენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ამ კანონის მიღება. ზოგადად, საჯარო სივრცეში მოქმედი ყველა ორგანიზაცია უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. ქართველ ხალხს აქვს უფლება, იცოდეს ყველა ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს და ფუნქციონირებს ამ ქვეყანაში, საიდან იღებს დაფინანსებებს, რა კონკრეტულ ინტერესებს ემსახურება.

მე, სამწუხაროდ, არ მომისმენია არცერთი მხარდამჭერი განცხადება თქვენი მხრიდან თქვენი კოლეგების მიმართ. ჩვენ ვხედავდით იმ ზღვარგადასულ ბულინგს, რომელიც ხორციელდებოდა კონკრეტული მედიასაშუალებების მიმართ. რაც შეეხება აქციაზე მყოფი ადამიანების მხრიდან წამოსულ აგრესიას, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ძალები მოქმედებდნენ ზეპროფესიონალურად და შეიძლება ევროპელებსაც ძალიან ბევრი ვასწავლოთ ამ მიმართულებით, როგორ უნდა გავცეთ ამ აგრესიაზე და მათ შორის, ზღვარგადასულ ბულინგზე პასუხი. აგრესიას, რომელიც იყო დაფიქსირებული, გაეცა შესაბამისი პასუხი.

ჩვენი პარტნიორების, მეგობრების შესაბამისი მოსაზრებები გასაგებია, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ვმოქმედებთ ჩვენი სახელმწიფოს და ჩვენი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე პირველ რიგში და შესაბამისად, იქნება მიღებული ეს კანონი. იცით, რომ ძალიან მალე დაიწყება მუხლობრივი განხილვა, შემდეგ დღეებში ყველას მიეცემა საშუალება, ჩაერთოს განხილვაში. იცით, რომ იყო შეთავაზება, მაქსიმალურად, არგუმენტებზე დაფუძნებული ფართო მსჯელობა გამართულიყო, თუმცა მეორე მხარე, ვისაც შესაბამისი შენიშვნები აქვს ამ კანონთან დაკავშირებით, არ ჩაერთო ამ დისკუსიაში, - აღნიშნა მთავრობის თავჯდომარემ.

თორნიკე რიჟვაძემ ევროკავშირის განცხადებაზეც ისაუბრა:

„ჩვენ მოვისმინეთ განცხადებები არაერთი ინსტიტუტისგან. ეს არის ცალკეული ევროპარლამენტარის, ასევე, შესაბამისი ინსტიტუტების მოსაზრება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს კანონი ემსახურება საქართველოს ყველა საჯარო ორგანიზაციის მაქსიმალურ გამჭვირვალობას და მისი მთავარი მიზანია, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის კიდევ უფრო გაძლიერება. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს იქნება საფუძველი, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი.

კანდიდატის სტატუსი უკვე მივიღეთ. მთავარი გზავნილი ჩვენი ხალხის და ჩვენი მეგობრების მიმართ გახლავთ ის, რომ მეტი კომუნიკაცია გვექნება, რომლის საფუძველზეც აუცილებლად დავიწყებთ საგნობრივ მოლაპარაკებებს მათთან და, რა თქმა უნდა, ჩვენ ხალხის ძალისხმევით შევძლებთ, რომ გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი“.

„ახალი, სამართლიანი პოლიტიკური დღის წესრიგი სჭირდება ამ ქვეყანას“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

გზა ევროკავშირსა და ნატოსკენ რომ წარმატებულთა ხვედრია, ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითმაც ცხადყო. ეს სახელმწიფოები დემოკრატიასა და ეკონომიკურ კეთილდღეობას განასახიერებენ, ადამიანის უფლებებს ზედმიწევნით იცავენ და სტაბილური პოლიტიკური გარემოთი გამოირჩევიან. სწორედ ამგვარ შედეგებს ითხოვს დასავლეთი საქართველოსგან. ევროკავშირის 9 დათქმის შესრულება ამ მხრივაა საყურადღებო

როგორც ცნობილია, ოპოზიცია და მმართველი პარტია ზემოაღნიშნულ დასავლურ მოთხოვნებთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს ახმოვანებენ. ოპოზიციის თქმით, ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისთვის ემზადება, თავის მხრივ, მმართველი გუნდი აღნიშნავს, რომ არჩევნები ცივილურად წარიმართება. ჩნდება კითხვები: რამდენად ანგარიშგასაწევი ძალა იქნება ოპოზიცია? მოსალოდნელია თუ არა კოალიციური მთავრობის შექმნა? რატომ აპროტესტებს ოპოზიციური სპექტრი კანონპროექტს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“? - ამ საკითხებზე გვესაუბრება პოლიტიკური პარტია „ახალის“ აჭარის ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი ***გიორგი კირთაძე.***

- ვიდრე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე ვისაუბრებდეთ, თქვენი პარტიის შექმნის მიზანს შეგეხოთ.

- უახლოეს მომავალში გაიმართება პარტიის ყრილობა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს პარტიას ჰქვია „ახალი“, რომლის საარჩევნო ნომერია 4. არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე საარჩევნო ნომრის მიღება მნიშვნელოვანია. პარტიაში არიან გამოცდილი ადამიანები, რომლებიც, ადრე და ახლაც, პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი. ასევე, პარტიაში გაწევრიანებულია მრავალი ახალგაზრდა, ახალი სახე, წარმატებული ადამიანები, რომლებიც ხედავენ აუცილებლობას, რომ პოლიტიკურ პროცესებში იყვნენ ჩართულნი. საზოგადოებამ იცის, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ „ქართულ ოცნებაში“, არამედ საკუთარ პარტიაშიც არ ეგუებიან კორუფციას და არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ პარტიაში მხოლოდ ვიწრო ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებებს, განსხვავებული აზრი იდევნება, ამის ბევრი მაგალითი იყო, მათ შორის - ბათუმის საკრებულოს სიებიდან ხალხის ამოყრა და ასე შემდეგ. ამიტომ გვიწევს პრინციპული პოზიციის დაფიქსირება. მიხარია, რომ პოლიტიკურ საქმიანობას ვაგრძელებ იმ ადამიანებთან ერთად, ვისთვისაც პრინციპებია მთავარი.

- პრეზენტაციაზე ითქვა, რომ პარტია ახალ იდეებს შესთავაზებს მოსახლეობას...

- ახალი, სამართლიანი პოლიტიკური დღის წესრიგი სჭირდება ამ ქვეყანას. ევროპა არის ჩვენი უსაფრთხოების და კეთილდღეობის გარანტი. ოღონდ კარგად უნდა გვესმოდეს - რა არის ეს, ანუ რას ვგულისხმობთ სამართლიან, ახალ პოლიტიკურ დღის წესრიგში. ამაში იგულისხმება სამართლიანი მართლმსაჯულება. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი თემაა დეცენტრალიზაცია, ანუ მმართველობაში მოქალაქეთა აქტიური ჩართულობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის აზრი გაუთვალისწინებელია, მეტიც, ადგილობრივი თვითმმართველობა კატასტროფულ დონეზეა. გახსოვთ, 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, როცა პრემიერ-მინისტრი გამოდიოდა და ამბობდა, რომ იმ ქალაქებს, სადაც აირჩევენ ოპოზიციურ მერს, არ ექნებოდათ ბიუჯეტი?! ასეთი მიდგომა უნდა დამთავრდეს!

- დღეისათვის საქართველოს მასშტაბით რამდენი ადამიანია გაწევრიანებული ამ პარტიაში?

- პარტია „ახალში“ რომ უამრავი ადამიანია გაერთიანებული, ამას ყველანი ვხედავთ. რეალურად, ეს არის პარტია, რომელსაც ჰყავს გამორჩეული ლიდერები, რომლებიც პატრიოტიზმთან ერთად კომპეტენციითაც გამოირჩევიან. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ პარტიას უკვე ჰყავს თავისი წარმომადგენლობა საქართველოს ყველა ქალაქში, რაიონსა და სოფელში.

- მოგეხსენებათ, ქვეყანაში მრავალი პარტიაა, როგორ შეხვდნენ ისინი, მათ შორის „ნაცმოძრაობა“, თქვენი პარტიის შექმნას?

- „ნაცმოძრაობისთვის“ და ასევე, „ქართული ოცნებისთვის“ ჩვენი პარტიის შექმნა არასახარბიელო იყო. ეს ჩანს მათ განცხადებებში. რაც შეეხება სხვა პოლიტიკურ პარტიებს, მართალია, არის კონკურენცია, თუმცა მგონია, პროდასავლურ პარტიებში იაზრებენ იმას, რომ ახლა სწორედ ერთობის დროა, ჩვენ უნდა შევძლოთ მნიშვნელოვან საკითხებში სწორი კოორდინაცია და შედეგის მიღწევა. ამის ნათელი მაგალითი იყო ბათუმში 2021 წლის არჩევნებზე, როცა ოპოზიციამ შეძლო სწორი კოორდინაცია. „ქართული ოცნება“ დამარცხდა ამ არჩევნებში, სხვა ამბავია, რომ ამის შენარჩუნება ჩვენ ვერ შევძელით...

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ პარტია „ახალი“ „ნაცმოძრაობის“ დანამატია და ხმას არჩევნებში მათ წაართმევს. რას ფიქრობთ?

- ჩვენ ავიღებთ არჩევნებში იმ ადამიანების ხმებს, რომლებიც თვლიან, რომ პოლიტიკური კორუფცია მიუღებელია, ქვეყანაში სამართლიანი პოლიტიკური დღის წესრიგი გვჭირდება. ასევე, აუცილებელია მართლმსაჯულების რეფორმა, დეცენტრალიზაცია, ანუ გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

- ამ რამდენიმე ხნის წინათ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობის“ კლონირება უშედეგო იქნება...

- მიხეილ სააკაშვილი არის ადამიანი, რომელმაც ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა ამ ქვეყნისთვის - ინსტიტუციები ჩამოაყალიბა, რომ ქვეყანა დასავლურ გზაზე დამდგარიყო. ისტორია, ჩემი აზრით, უკვე აფასებს მის მოღვაწეობას დადებითად. ის ცალსახად არის პოლიტიკური პატიმარი და ჩვენი ბრძოლის მთავარი მიზანია პოლიტიკური მართლმსაჯულების დასრულება ამ ქვეყანაში.

- ახლა, ზოგადად, საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე ვისაუბროთ. თქვენ რა ასპექტებს გამოყოფდით?

- ხელისუფლება რუსული კანონის მიღებას აპირებს, ამ მხრივ ძალიან მარტივადაა საქმე. ჩვენ ბოლო პერიოდში, მათ შორის უკრაინელი ხალხის ბრძოლის ხარჯზე (რა თქმა უნდა, წარსულში და ახლაც ქართველთა თავდადების შედეგად), დავუახლოვდით ევროპას. როგორც ჩანს, ამან ძალიან გააღიზიანა კრემლში ივანიშვილის კურატორები და გადაწყვეტილება მიიღეს, რომ საქართველო დაშორდეს ევროპულ ოჯახს, ანუ კედელი აღიმართოს საქართველოსა და ევროკავშირს შორის.

- მმართველი პარტიის წევრები აცხადებენ, რომ ოპოზიცია დეზინფორმაციას ავრცელებს ზემოაღნიშნულ კანონთან მიმართებით...

- ახლა ისინი მილიონობით განმარტებას გააკეთებენ... აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი პირდაპირ ამბობს, რომ ეს არის რუსული კანონი და მისი მიღება დიდ პრობლემას შეუქმნის ქვეყანას ევროინტეგრაციის გზაზე. პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ამ კანონის მიღების შემთხვევაში ვერ გავწევრიანდებით ევროკავშირში. სხვათა შორის, იმასაც შეგახსენებთ, რომ ირაკლი კობახიძე და შალვა პაპუაშვილი სწორედ დასავლეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებში მუშაობდნენ. გაუმჭვირვალე ჩვენი მთავრობა და მერიაა, სადაც ინფორმაციის აღებაც ჭირს, ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია დეკლარაციას ავსებს და ყველაფერი საჯაროა.

- მამუკა მდინარაძემ აღნიშნა, რომ ისინი არ ებრძვიან არასამთავრობოებს, უბრალოდ, მოითხოვენ, მათი საქმიანობა იყოს გამჭვირვალე.

- იქნებ მითხრან, რა არ არის გამჭვირვალე? „ტვ 25“ გრანტს თუ აიღებს, სათანადო დეკლარაცია ივსება და ბარდება შესაბამის უწყებებს. ყველაფერი არის ძალიან გამჭვირვალე.

- როგორ მიმდინარეობს, თქვენი აზრით, საარჩევნო პროცესი?

- უმძიმესად. ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ არჩევნებიც კი არ ჩატარდეს ნორმალურად. მისი მიზანია, ქვეყანა მოსწყვიტოს დასავლურ ორბიტას. ამიტომ მნიშვნელოვანია ქართველი ხალხის კონსოლიდაცია, რათა დაიცვას ქვეყნის პროდასავლური კურსი.

- შეძლებს თუ ვერა თქვენი პარტია, გახდეს მესამე ძალა?

- თუ არჩევნები ნორმალურ პირობებში ჩატარდება, დარწმუნებული ვარ, რომ მთავარი ოპოზიციური ძალა ჩვენი პარტია იქნება.

- როგორ აპირებთ მიუმხრობელი ამომრჩევლის მიმხრობას?

- ცხადია, მნიშვნელოვანია მიუმხრობელი ამომრჩევლის მოყვანა არჩევნებზე, გულწრფელობა არის მთავარი, ასევე - პროფესიონალიზმი და პატრიოტიზმი. მგონია, რომ ასეთი ხალხის ერთობა არის ჩვენს პარტიაში.

- სხვა ოპოზიციურ პარტიებთან თუ აპირებთ საარჩევნო პლატფორმის შექმნას?

- გამორიცხული არაფერია, შესაძლებელია, კიდევ უფრო გავფართოვდეთ. ჯერჯერობით ეს არის ნიკა მელიას და ნიკა გვარამიას გუნდების ერთობა, თუმცა ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს უნდა ჩვენთან გაერთიანება, გაკეთდა ღია შეთავაზება...

- ახლა ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა მასობრივად უნდა მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა.

- ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. საქართველოს ჰყავს ასიათასობით ემიგრანტი, მაგრამ მათი მცირე ნაწილი მონაწილეობს არჩევნებში. ამას ბევრი მიზეზი აქვს, მთავარი ხელმისაწვდომობის პრობლემა, ანუ სხვა ქალაქებში საარჩევნო უბნების უქონლობაა, ამიტომ საარჩევნო უბნების გახსნა მნიშვნელოვანია. რთულია, ემიგრანტმა ასობით კილომეტრი გაიაროს არჩევნებში მონაწილეობისთვის. ამ ემიგრანტების აქტივობა იქნება დამღუპველი მმართველი გუნდისთვის. ისინი ამას კარგად ხვდებიან... ყველა კარგად ხვდება, რომ ამერიკასა და ევროპაში მცხოვრები ქართველები ნაკლებად ექვემდებარებიან ზეწოლას მმართველი პარტიისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ დამარცხდება. თუ გადავხედავთ არჩევნების შედეგებს, ემიგრანტების ხმების უმრავლესობა ოპოზიციურია.

- პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ არჩევნებში მმართველი პარტია ხმების 60 პროცენტს აიღებს.

- მგონია, მმართველი პარტია მხოლოდ თავისი ამომრჩევლის შეგულიანებისთვის ახმოვანებს მსგავს განცხადებებს. მართლა ჰგონია კობახიძეს, რომ ქუჩაში მყოფი ათი ადამიანიდან 6 უჭერს მხარს? რომ დავაკვირდეთ, ქვეყანაში ძნელი სანახავია მმართველი გუნდის მხარდამჭერი.

- უნდა ველოდოთ თუ არა 2024 წლის არჩევნების შედეგად კოალიციური მთავრობის შექმნას?

- დარწმუნებული ვარ, წლევანდელი არჩევნების შედეგების გათვალისწინებით ჩამოყალიბდება კოალიციური მთავრობა როგორც ცენტრალურ დონეზე, ასევე აჭარაში. როგორც ცნობილია, აჭარაში საპარლამენტო არჩევნების პარალელურად უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც გაიმართება და დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობა კოალიციური იქნება.

> ***„ჩვენ ავიღებთ არჩევნებში იმ ადამიანების ხმებს, რომლებიც თვლიან, რომ პოლიტიკური კორუფცია მიუღებელია, ქვეყანაში სამართლიანი პოლიტიკური დღის წესრიგი გვჭირდება. ასევე, აუცილებელია მართლმსაჯულების რეფორმა, დეცენტრალიზაცია, ანუ გადაწყვეტილებების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა***

- რომელი პარტიები გადალახავენ საარჩევნო ბარიერს?

- ჯერ ნაადრევია ამაზე საუბარი, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მმართველი პარტია უმცირესობაში იქნება მანდატების რაოდენობით.

- დავუშვათ, ოპოზიციამ, მთლიანობაში, გაიმარჯვა. პირველ რიგში, რა ნაბიჯები უნდა გადადგას?

- როგორც აღვნიშნე, ეს უნდა იყოს ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შემოტანა, სამართლიანი მართლმსაჯულება, რასაც ინსტიტუციონალური რეფორმების გატარება სჭირდება. ამ მხრივ მკაფიო ნაბიჯებია გადასადგმელი.

- დაბოლოს, თქვენი აზრით, როგორი იქნება საქართველოსთვის ოქტომბრის არჩევნები და მისი შედეგების ისტორიული მნიშვნელობა?

- ეს იქნება უმნიშვნელოვანესი არჩევნები საქართველოსთვის. ხაზგასასმელია ის ფაქტორი, რომ მნიშვნელოვანია წინასაარჩევნო პერიოდი. არჩევნები არ არის მხოლოდ არჩევნების დღე, წინასაარჩევნო პერიოდი, პრაქტიკულად, დაწყებულია. ჩვენ გავიმარჯვებთ და საბოლოოდ ჩვენს ბუნებრივ ადგილს დავუბრუნდებით ცივილიზებულ სამყაროში ან, როგორც 1921 წელს, ევროპასთან დიდი კედელი აღიმართება და დავრჩებით რუსულ ორბიტაზე. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება და საქართველო ევროატლანტიკური სტრუქტურების სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ქალაქს ახალი სკვერი შეემატა

სამების პირველ ჩიხში სკვერის მშენებლობა დასრულდა. ახალ მოსასვენებელ სივრცეში განთავსდა საბავშვო ატრაქციონები, სპორტული ტრენაჟორები და საპარკო ინვენტარი, მოეწყო სანიაღვრე, განათების სისტემა და მწვანე სივრცე. პროექტისთვის 497 ათას ლარი იყო გათვალისწინებული.

ახალი სკვერი ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ტიტე აროშიძესთან ერთად დაათვალიერა.

დედაენის დაცვიდან – ეროვნულ მოძრაობამდე

1978 წლის 14 აპრილის და შემდგომ განვითარებული მოვლენების აქტიური მონაწილე იყო პროფესიით პედაგოგი, მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, შუახევის რაიონის ყოფილი გამგებელი ***ლევან ძამაღაძე.*** *60 წელს გადაცილებული, დღესაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრშია.*

- ბატონო ლევან, ეროვნულ საკითხებზე ყოველთვის პრინციპული პოზიცია გქონდათ და გაქვთ. ასე იყო 1978 წლის 14 აპრილსაც...

- 1978 წლის 14 აპრილს ქალაქ თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა აჭარაშიც ჰპოვა გამოძახილი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც იგნორირებული იყო ქართული ენის როლი და ადგილი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები 14 აპრილამდეც აქტიურად ვიყავით ჩართული იმ მოძრაობაში, რომელიც დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლებიდან მოდიოდა. მომავალ ფილოლოგს, წარმატებულ სტუდენტს, შინაგანი მოთხოვნა მქონდა დამეცვა მშობლიური ენის იდენტობა.

- თბილისში განვითარებული პროცესების მიღმა არც ბათუმი დარჩა. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს, თანამოაზრეებთან ერთად, რა მისია გამოძრავებდათ?

- 1978 წლის 26 მაისი ჩემი თაობის ახალგაზრდებისთვის დაუვიწყარ თარიღად რჩება. მანამდე პირველი კავშირები პოეტ, აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესთან გვქონდა და მისი რეკომენდაციებით ვმოქმედებდით. ჩვენთან ერთად იყვნენ მალხაზ სიორიძე, ნოდარ ქედელიძე, რუსუდან მეგრელიძე, ვახტანგ ღლონტი, ბადრი თევზაძე, ნინო ჭყონია და სხვები. ჩვენი ვნებათაღელვა გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაბეჭდილ პუბლიკაციებს მოჰყვა, რადგან მაშინ საერთოდ არ ჩანდა, რომ ქართულ ენას კუთვნილი ადგილი უნდა ჰქონდეს აჭარის კონსტიტუციაში. ჩვენ ჯერ კიდევ საქართველოს კონსტიტუციის განხილვისას მოვითხოვდით საქართველოს დროშას დამატებოდა ალისფერი ზოლი სიმბოლოდ წარსულისა (ისე, როგორც ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკების დროშებს ჰქონდათ). მეცნიერების - იური ჩხარტიშვილის, თეიმურაზ მოისწრაფიშვილის, აბელ სურგულაძის, ჯემალ ჩხაიძის, რომელიც მაშინ საზოგადოება „ცოდნის“ ხელმძღვანელი იყო, უშუალო ჩარევით შედგა მოთხოვნა-პეტიცია. იგი გრამატიკულად ჩაასწორა ნოდარ მიქელაძემ. მიტინგიც გაიმართა, რასაც ხელისუფლების დათმობაზე წასვლა და ქართული ენის სახელმწიფო ენად კონსტიტუციაში ჩაწერა მოჰყვა. მერე რაც მოხდა, ყველასათვის ნათელია. ორგანიზატორებისა და ახალგაზრდების მიმართ დაიწყეს რეპრესიები, ენის დაცვისთვის გატარებული ცვლილებები კი მოგვიანებით ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მსხდომებმა დაიბრალეს. 46 წლის გადასახედიდან კიდევ მრავალი რამ ბნელითაა მოცული.

- საბჭოთა რეჟიმი, თუნდაც 1959 წლის 9 მარტს, სასტიკად გაუსწორდა სამართლის მოყვარულ ახალგაზრდებს. თქვენ იმ მომენტისთვის შიშის განცდა თუ გქონდათ?

- არა და არა. როცა მიზანს ვისახავ, მისი გზების კანონიერებას კარგად ვსწავლობ, რომ არ გადავკვეთო წითელი ხაზები. მაშინაც ავანტიურისტული წინადადებები წამოვიდა შემდგომში ეგრეთ წოდებული „აჭარის ხსნის კომიტეტის“ მესვეურებიდან. ჩვენი მოთხოვნა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას და, ასევე, აჭარის ავტონომიის მიმართ არსებული ბარიერების მოხსნას ითვალისწინებდა. მოვლენები ასე განვითარდა: პირველმა შეხვედრამ საოლქო კომიტეტის პარტიულ ხელმძღვანელებთან მშვიდად ჩაიარა. რამდენიმე საკითხზე კიდეც შევთანხმდით, განსაკუთრებით ჰერალდიკაზე და გვთხოვეს, წერილობით მიგვემართა აჭარის უმაღლესი საბჭოს სესიისთვის საკითხის განსახილველად. უმაღლეს საბჭოში გადავინაცვლეთ. აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დინჯმა და საქმის მცოდნე თავმჯდომარე დავით დიასამიძემ გვთხოვა, წერილობითი მოთხოვნა დაგვეტოვებინა. საბოლოო ვერსია ჯემალ ჩხაიძესთან შეთანხმდა. მას ეს ჩარევა არ აპატიეს და სხვა სამსახურში გადაიყვანეს. ჩვენი მოთხოვნებიდან მხოლოდ ენის პროექტი გაიტანეს სესიაზე განსახილველად. განვითარებულ მოვლენებს რომ ვაკვირდები, მაშინ მიუტევებელი შეცდომა გვაქვს დაშვებული. ახლა ის მასალები, რომლებიც პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გადავეცი, ოქროს ფონდი იქნებოდა, არადა, სულ გაქრა. გადაწერას და გამრავლებას ახდენდა ნ. ჭყონია. მასალები მე, მალხაზ სიორიძემ, ვახტანგ ღლონტმა კაბინეტში გადავეცით ვახტანგ პაპუნიძეს.

> *„ახლა ის მასალები, რომლებიც პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს გადავეცი, ოქროს ფონდი იქნებოდა, არადა, სულ გაქრა. გადაწერას და გამრავლებას ახდენდა ნ. ჭყონია. მასალები მე, მალხაზ სიორიძემ, ვახტანგ ღლონტმა კაბინეტში გადავეცით ვახტანგ პაპუნიძეს*

- ახლანდელი გადასახედიდან რამდენად გამართლებული იყო პოზიცია, რომელიც ახალგაზრდებმა დედაენისადმი გამოიჩინეთ?

- ერის ისტორიაში ბევრჯერ ყოფილა მომენტი, როცა კრიტიკული ვითარებიდან გამოსავალს პოულობდნენ. ჩვენც ვიწამეთ, რომ ერთ მუშტად შეკვრა გვჭირდებოდა. ასეც მოხდა. ბათუმში 26 მაისის მოვლენების დასრულებისთანავე, იმავე საღამოს, დაფუძნდა ეროვნული თუ სხვა პრობლემების გადასაჭრელად. ასლან აბაშიძესთან ჩვენი პირველი დაპირისპირება დაიწყო ლაითურის ხიდის ჩაგდების, სენსიტიური თემებით (რელიგიით) ვაჭრობისა და ცენტრალური ხელისუფლების უგულებელყოფის, ყარსის ხელშეკრულების ფარად გამოყენების და სხვა შიგა სეპარატისტული იდეების ქადაგების გამო, მან გააცოცხლა „აჭარის ხსნის კომიტეტის“ საქმიანობა და სხვა... კარგიც გააკეთა - მოროდიორები და ქვეყნის გადამტრიალებლები აჭარაში არ შემოუშვა, მაგრამ 1996 წლიდან გაუტია, მლიქვნელთა ქმედებებმა რეალობის აღქმა დააკარგვინა. ასე დაემართათ 2009 წლიდან სხვებსაც და შედეგი... ასე სჭირთ ახლაც - რეალობის აღქმას კარგავენ.

- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ იდეების მიმდევარს ჯერ შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტი გეკავათ, შემდეგ კი ამავე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრად პროპორციული სიით აგირჩიეს. გამგებლის სავარძლის ნაადრევად დატოვებას იმ რეჟიმს მიაწერთ?

- სასაცილოა! სად არიან ისინი, ვისი გაფიცვის მუქარის გამოც მოხდა ყოველივე?! მაშინაც იყო მრავალი საკადრო შეცდომა და შემდეგაც. მაშინდელმაც და ახლანდელმა ლიდერებმა, პირად კეთილდღეობაზე მზრუნველებმა დამმართეს ის, რაც დამართეს სხვებს. მაშინაც მომკვეთეს, მაგრამ იდეებს ვემსახურებოდი, კვლავ დავბრუნდი, ახლა კი იმ ფუტურისტებმა, სხვადასხვა პოზიციაზე მორბენლებმა ძალაუფლება მოიპოვეს პარტიაში. „აღორძინების“ აკვანში გაზრდილებმა ენმ-ის დამფუძნებელი (ცნობისთვის: აჭარიდან მხოლოდ სამი ვიყავით - მე, ოთარ მიქელაძე და ილია ქამადაძე, გმირთა მოედანზე დაწყებული ყრილობა მთაწმინდაზე რომ დავამთავრეთ) გამრიცხეს ურჩობისთვის გასული წლის 9 თებერვალს.

- პრინციპულობა, სიჯიუტე თქვენს ასაკში რამდენად მომგებიანად მიგაჩნიათ?

- განა ჩემი პრინციპულობა რაიმე კანონს არღვევს?! ასე რომ ყოფილიყო, პირველ რიგში, კომუნისტები დამიჭერდნენ. მაშინ, როცა დამგეგმავები და შემსრულებლები საჯარო კონფერენციაზე ვამხილე, ზოგიერთები ქვეყნის მოღალატედ ღიად გამოვაცხადე. ვერც „აღორძინების“ სეპარატისტულმა რეჟიმმა მომიძებნა საბაბი საკანში გამოსამწყვდევად. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელქვეითებმა, პროკურატურამ 8 თვის განმავლობაში ჩემი საქმიანობის ყველა დოკუმენტს უკირკიტეს. „ოცნებამ“ 2015 წელს, ვითომ ახალი გარემოებების გამო, ბრალეულობის აგორება სცადა.

- დაბოლოს, დედაენის დღეს ვისთან ერთად აღნიშნავთ და, პირველ რიგში, ვის შესანდობარს დალევთ?

- სამარადისო დიდება მათ, ვინც ჩვენ გვერდით აღარ არიან. მალხაზ სიორიძის სახელის გასახსენებლად ხშირად ვიკრიბებით კურსელები: რამინ ბახტაძე, სულიკო ანთაძე, ვ. ქათამაძე, ვახტანგ ღლონტი და სხვები. გოგონებს ვეხმიანებით, განსაკუთრებით ნინო ჭყონიას, ვიგონებთ ლექტორ-მასწავლებლებს. რომ არა ირაკლი აბაშიძის თხოვნა ედუარდ შევარდნაძისადმი და შეკრებების შედეგად გაფრთხილებები, ვერ გადავურჩებოდით დიდ რისხვას. მთავარია, ვინც გვსჯიდა, ისინი როგორ შეიცვალნენ ახლა და წერენ ესეებს, რომ აქტიურად მონაწილეობდნენ ამ ამბებში. ისტორია მეორდება.

დედაენა – ერის საუნჯე

დედაენის კვირეული გრძელდება. ამ მნიშვნელოვანი კამპანიის ფარგლებში, შუახევში ა(ა)იპ „შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის“ ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ჩატარდა მხატვრულ-მუსიკალური საღამო თემაზე: „დედაენა - ერის საუნჯე“. იგი გახსნა შუახევის ხელოვნებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის დირექტორმა ნინი ბერიძემ. საღამოს მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე

მოსწავლეებმა წაიკითხეს დედისადმი მიძღვნილი ლექსები, სკოლასთან მოქმედი გუნდის წევრებმა შეასრულეს სიმღერები, ხოლო ნორჩმა მუსიკოსებმა ინსტრუმენტებზე ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან ნაწყვეტები დაუკრეს. საღამოს ორგანიზებაში ჩართული იყვნენ პედაგოგები: თეონა აბულაძე, თამუნა დუმბაძე, მარინა ჯაყელი, ინდირა მიქელაძე, დავით ჯანელიძე, მედეა კეკელიძე, ია ბერიძე.

- 46 წლის წინ ქართველმა ერმა დიდი ძალისხმევის ფასად, დედაენა გადაარჩინა. 14 აპრილი ერის ისტორიაში სახელოვანი თარიღია. ჩვენი ვალია, დავიცვათ, გავუფრთხილდეთ და მოვუაროთ ამ საუნჯეს, - თქვა ომარ ტაკიძემ.

გვერდი მოამზადა ოთარ ციწარიძემ

„მთა ჩირუხის განვითარებამ ბევრი სიკეთე მოუტანა მარეთის ხეობის მოსახლეობას“

მაჟორიტარი – შუახევის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

*შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ფრიდონ ფუტკარაძე** წარმომადგენლობით ორგანოში, პირველ რიგში, შუბნელი და ოლადაურელი ამომრჩევლების ინტერესების დამცველია, როგორც მათი მაჟორიტარი. იგი მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება.*

- ბატონო ფრიდონ, ორ წელზე მეტია, რაც წარმომადგენლობით ორგანოში მაჟორიტარი დეპუტატი ხართ. დაგვისახელეთ თქვენ მიერ ინიცირებული პროექტები და რა სარგებელი მოუტანა მან მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

- საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი ის პროცესები, რაც 1989 წლის 19 აპრილის შემდეგ ქვეყანაში განვითარდა. ამას მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება, ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი. ამ ბრძოლებში დაღუპულებთან ერთად, გაჩნდა ადამიანების კატეგორია, რომლებიც ომისა და სხვა პროცესების მონაწილენი იყვნენ და ამჟამად ვეტერანთა უფლებით სარგებლობენ. საკრებულოში საქმიანობის 6 წლის განმავლობაში მე და კოლეგებმა 4 პროექტი დავაინიცირეთ. ჩემ მიერ ინიცირებული პროექტით ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს გარკვეული დახმარება გავუწიეთ. მომავალი თაობის აღზრდას შუახევში 800-ზე მეტი პედაგოგი ემსახურება. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტია, მასწავლებლად მუშაობენ. საკრებულოს წევრ მელანო ებრალიძესთან ერთად დავიწყეთ პროექტი, რომელიც ამ კატეგორიის მასწავლებლებისთვის ერთჯერადად გარკვეული რაოდენობის თანხის გაცემას ითვალისწინებს. გვაქვს იმედი, რომ საკრებულოს წევრები პროექტს მხარს დაუჭერენ. ბოლო წლებში შუახეველი სპორტსმენები წარმატებას აღწევენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ტურნირებსა და შეჯიბრებებზე. საკრებულოს წევრ გიორგი კეკელიძესთან ერთად, ინიცირებულია პროექტი სპორტსმენების წახალისების მიზნით. შარშან ინიცირებული იყო ჩემი პროექტი, რომელიც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შვილების თანადგომას ითვალისწინებდა. მისი არსი ასეთია: შუახევში მცხოვრები ვეტერანის შვილი, რომელიც აქ სკოლის სრულ კურსს დაასრულებს და ქვეყნის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდება, ერთჯერადად 500-ლარიან დახმარებას მიიღებს. ბიზნესმენ კახა ცეცხლაძესთან ერთად, მატერიალური თანადგომა გავუწიე სახალხო მთქმელებს შოთა თავდგირიძესა და დიმიტრი ცეცხლაძეს, პოეტ ადამ ბოლქვაძეს. მათი შემოქმედება წიგნებად გამოიცა. ამაგს ვერ დავუკარგავ წიგნების რედაქტორს, პუბლიცისტ ოთარ ციხარიძეს.

- წინა მოწვევის საკრებულოში პროპორციული სიით იყავით არჩეული. რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან პროპორციული და მაჟორიტარული წესით არჩეული საკრებულოს წევრის საქმიანობა?

- მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საქმიანობა უფრო კონკრეტულია, დეპუტატი გარკვეულ არეალში საქმიანობს. ყოველთვის, როცა ამის საშუალება მეძლევა, მადლობას ვუხდი ამომრჩეველს, რომელმაც საკმაო კონკურენციის პირობებში არჩევანი ჩემზე გააკეთა. ცხოვრების წესად მაქვს ქცეული, რომ მადლს, კეთილ საქმეს ასეთივე ქმედებით ვუპასუხო. სოფელი, განსაკუთრებით ის ტერიტორია, რომელთა წარმომადგენელი არჩევით ორგანოში ვარ, ყოველდღიურ მზრუნველობას ითხოვს. ამომრჩევლის პრობლემები, წინადადებები სათანადო ორგანოებში მიმაქვს. ყველაზე მეტი ადამიანი მკურნალობის თანხის დაფინანსებაში ითხოვს თანადგომას. შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის, აჭარის ჯამრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები ჩემს თხოვნებს უყურადღებოდ არ ტოვებენ. ყველასათვის ცნობილია ის სტიქიური პროცესები, რომელიც აჭარის მთიანეთში 6-7 თებერვალს განვითარდა. მოსახლეობა

გეოლოგების მოვლინებას, სათანადო დასკვნის საფუძველზე ადგილმონაცვლეობას ითხოვდა. ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სათანადო თანხის მობილიზების პროცესი. ნამეტი სოფლის სამეურნეო პროდუქტები. 5 წელზე მეტია, ეს მთა სამშენებლო პოლიგონადაა ქცეული. მოსახლეობა ტურისტების, დამსვენებლების მასპინძლობითაც დაკავდება. გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები. ისიც ნათელია, რა სიკეთე მოუტანა კურორტ გოდერძის განვითარებამ დანისპარაულს, რიყეთს, თუნდაც ბეღლეთ-დანისპარაულის ხეობის სოფლებს. ჩირუხის განვითარებამ ბევრი სიკეთე მოუტანა მარეთის ხეობის მოსახლეობას. ახლა მთავარია, განაშენიანების პროცესები ნორმალურად წარიმართოს. იმასაც ვიტყვი, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ტყის რესურსების მოვლა-პატრონობას.

- დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო ორზოლიანი ზიპლაინის მშენებლობის საკითხი...

- როცა უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორი კონკრეტულ ლოკაციაზე მიდის, მას რაღაც გამორჩეული და დასამახსოვრებელი უნდა დახვდეს. ყველა განცვიფრებულია მარეთის ხეობის ბუნებით. ხეობაში გვაქვს გოგლაურის, მახალაკიძეების, ოქროპილაურის, ცინარეთის ისტორიული ციხეების ნაშთები, გამონათლევის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, სხვა საკულტო ნაგებობანი. მათ ვიზიტიორები არ აკლია, მაგრამ ორზოლიანი ზიპლაინი, რომელიც მთა ჩირუხზე შენდება, აჭარის მთიანეთში პირველია არქიტექტურითა და სარგებლიანობის თვალსაზრისით. მისი მშენებლობის დაწყება მართლაც გაჭიანურდა, მაგრამ აჭარის მთავრობის უშუალო ძალისხმევით, გამოჩნდა კომპანია, რომელმაც ობიექტის მშენებლობა შარშან დაიწყო. მკაცრმა და უხვნალექიანმა ზამთარმა მშენებლობა დროებით შეაჩერა. სავარუდოდ, იგი მაისის ბოლოდან განახლდება. ყველა დაინტერესებულია, მალე გაისეირნოს ზიპლაინით, თვალი შეავლოს მთა ჩირუხის ღირსშესანიშნაობებს. სანახავი მართლაც ბევრია: გასალიანისა და შრატიანის ტბები, ქედებს შორის ჩაგვირისტებული სანახები, აჭარა-შავშეთის ქედის ტერიტორიები. ახლა ყველას ძალისხმევა ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დასრულებისკენაა მიმართული. რომ არა რეგიონის პირველი პირების, პირადად თორნიკე რიყუვაძის, ჯაბა ფუტკარაძის, პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძის, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ფრიდონ ფუტკარაძის ხელშეწყობა და პროექტისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ეს საშვილიშვილო საქმე კვლავ გაყინული იქნებოდა. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთით მადლობას ვუხდი მათ.

- რას აკეთებს თვითმმართველობა მთა ჩირუხის განვითარებისთვის?

- საავტომობილო გზის მოწესრიგებაზე უკვე ვისაუბრე. მე და წინა თაობის სხვა ადამიანებს კარგად გვახსოვს ის წლები, როცა ჩირუხიდან ჯინალის მიმართულებით წვიმიან ამინდში ტრანსპორტის გადაადგილება შეუძლებელი იყო. ახლა შიდა გზები მოშანდაკებულია. რამდენიმე ადგილზე გადასასვლელი ხიდები გაკეთდა. მთა ჩირუხს დენი სხალთის ხეობიდან მიეწოდებოდა. ხშირი იყო ავარიული გამორთვები. რეგიონული ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, ახალი ხაზი გავიყვანეთ და მთას დენი ახლა მარეთის ხეობიდან მიეწოდება. დაწყებულია შიდა გაყვანილობის მოწესრიგება. სახალხო დღესასწაულები „შუამთობა“, „კულტიჯვრობა“ ღია ცის ქვეშ იმართებოდა. ახლა უკვე სპეციალური არენაა გაკეთებული. მოწესრიგდა სპორტული მოედანი, შემოიღობა მეჩეთის ტერიტორია. ზაფხულობით სამი მიმართულებიდან მთა ჩირუხში მიმავალ მგზავრებს ტრანსპორტი უფასოდ ემსახურება.

- იმ სოფლების მთავარ პრიორიტეტებზეც გვითხარით, თქვენს მაჟორიტარულ ოლქში რომ შედის...

- პირველ რიგში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ მინდა რამდენიმე წინადადება ვთქვა. ეს პროგრამა მაჟორიტარული ოლქის ყველა სოფელში მოქმედებს და წლებია, ხელს უწყობს სოფლების განვითარებას. ვიყავი იმ შეხვედრების მონაწილე, რომლებსაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მართავდა პროგრამასთან დაკავშირებით. ყველგან მოსახლეობის სურვილისამებრ გადანაწილდა თანხები. კარგია, რომ სოფლის ცენტრი კეთილეწყობა. ეს პროცესი ოლადაურისა და შუბნის თემების სოფლებშიც დაწყებულია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით 6 სოფლის გზაზე ბეტონის საფარი დაიგება. წელს სოფელი გორი დაარსების საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს. საკრებულოს წევრ ვახტანგ ფუტკარაძესთან ერთად, მოსამზადებელ სამუშაოებში ჩავერთვები. ჩემი თანასოფლელი იყო ცნობილი ქართველოლოგი, დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე. იგი 61 წლის ასაკში წუთისოფლიდან წავიდა. მის ხსოვნას რიგი ღონისძიებები მიეძღვნა. ვცდილობთ, კიდევ მეტი გავაკეთოთ ტარიელ ფუტკარაძის სახელის უკვდავსაყოფად.

- ხომ არ გვაინდება ცალკეულ პრიორიტეტებზე კონკურსის გამოცხადება?

- საკრებულოს ნებისმიერი წევრი შუახევის მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების ეპიცენტრშია. ის პრიორიტეტები, რომლებიც წლის დასაწყისში საკრებულოს სხდომებზე ადგილობრივ ბიუჯეტთან ერთად მტკიცდება, ხელს უწყობს მოსახლეობის კეთილდღეობას. როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, მერიის შესაბამისი სამსახურის უფროსებსა და სპეციალისტებს ხშირად შევახსენებ, რომ წარმოდგენილ პრიორიტეტებზე კონკურსი დროულად გამოცხადდეს და გვიან შემოდგომამდე, მათზე განკუთვნილი თანხა მიზნობრივად დაიხარჯოს. პროგრამებსა და პრიორიტეტებზე მონიტორინგი გვაქვს დაწესებული.

> *„კარგად გვახსოვს ის წლები, როცა ჩირუხიდან ჯინალის მიმართულებით წვიმიან ამინდში ტრანსპორტის გადაადგილება შეუძლებელი იყო. ახლა შიდა გზები მოშანდაკებულია. რამდენიმე ადგილზე გადასასვლელი ხიდები გაკეთდა. მთა ჩირუხს დენი სხალთის ხეობიდან მიეწოდებოდა. ხშირი იყო ავარიული გამორთვები. რეგიონული ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, ახალი ხაზი გავიყვანეთ და მთას დენი ახლა მარეთის ხეობიდან მიეწოდება*

მოძრაობა შეიზღუდება

ვარშანიძის ქუჩის №182-184-ის მიმდებარედ, ხიდის მოწყობის სამუშაოების გამო, 1 თვის განმავლობაში სატრანსპორტო მოძრაობა შეიზღუდება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა შესაძლებელია გენერალ ასლან აბაშიძისა და ლეონიძის ქუჩების ან ხახულის მეორე შესახვევის გავლით.

ბათუმის მერია ბოდიშს უხდის მოსახლეობას შექმნილი დისკომფორტის გამო.

ბათუმის მერია
BATUMI CITY HALL

განცხადება

აქონდროპლაზიის წამალს ბათუმელი გაბრიელიც მიიღებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

„უბედნიერესი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, როცა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროდან დამირეკეს და მითხრეს - თქვენი შვილი გაბრიელი აქონდროპლაზიის წამლის მიღებას დაიწყებსო... ღმერთო, მადლობა ამ შესაძლებლობისთვის, იმედის მოცემისთვის. გამიბედნიერდა ჩემი გაბი, ის ჩაერთვება პროგრამაში, მიიღებს პრეპარატს და იქნება სრულიად ჯანმრთელი. მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც წვლილი შეიტანა ამ მედიკამენტის ავტორიზაციასა და ჩვენი შვილების გახარებაში“, - წერს სოციალურ ქსელში 3 წლის გაბრიელ შაინიძის დედა სალომე ბერიძე.

„იქნებ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო დაგვეხმაროს, რომ ბათუმში მივიღოთ ჩვენთვის განკუთვნილი დოზა. სამი შვილი მყავს და ძნელია, ერთი წელი გავჩერდე დედაქალაქში. ბათუმში 5 ბავშვია აქონდროპლაზიით დაავადებული, იმედს ვიტოვებ, ყველა მიიღებს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრეპარატს და განიკურნება

როგორც ქალბატონმა სალომემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, არ ელოდა, რომ მისი შვილი პრეპარატ „ვოქსზოგოს“ (გენერიკული დასახელებით „ვოსორიტიდი“) ასე მოკლე დროში მიიღებდა. სექტემბერში რიგი აუცილებლად მოგვიწევსო, სიხარულით მამცნო. ჩვენს საუბარში გაბრიელი აქტიურად იყო ჩართული, ბავშვური სიცელქით ცდილობდა ჩემი ყურადღების მიქცევას. აშკარად ჩანდა, უცხო ადამიანებთან კონტაქტს მიჩვეული იყო. როგორც ქალბატონმა სალომემ გვითხრა, ყოველთვის ცდილობს, საზოგადოებას დაანახოს, რა თბილი, მოსიყვარულე, მხიარული შვილი ჰყავს, მართალია, სხვა ბავშვებისგან განსხვავდება, მაგრამ ისეთივე გულწრფელი და ხალისიანია, როგორც სხვები. გაბრიელის სახალისო ვიდეოებს დედა ხშირად აქვეყნებს სოციალურ ქსელში. როგორც ქალბატონი სალომე ამბობს, ახლა ერთადერთი პრობლემა ის არის, რომ პროგრამაში ჩართვის შემდეგ გაბრიელს და მას თბილისში 1 წლით მოუწევთ ცხოვრება, რათა ყოველდღიურად მივიდნენ სამედიცინო დაწესებულებაში და პრეპარატი მედიკოსების დაკვირვების ქვეშ მიიღონ.

- ჩემი ორსულობა პანდემიას დაემთხვა. ხულოში ვიყავი კონსულტაციაზე, დიაგნოზი იქ ვერ დამისვეს, - გვიყვება სალომე, - 8 თვის ორსული ბათუმში ჩამოვედი და ექიმს მივმართე. იგი პირველივე ექოსკოპიაზე დაეჭვდა, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო. როდესაც თბილისში, იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში უნდა მივიდეთ. ერთი თხოვნა მაქვს, იქნებ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო დაგვეხმაროს, რომ ბათუმში მივიღოთ ჩვენთვის განკუთვნილი დოზა. სამი შვილი მყავს და ძნელია, ერთი წელი გავჩერდე დედაქალაქში. ბათუმში 5 ბავშვია აქონდროპლაზიით დაავადებული, იმედს ვიტოვებ, ყველა მიიღებს მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრეპარატს და განიკურნება, - ამბობს სალომე.

აქონდროპლაზია გენეტიკური დაავადებაა, რომელიც სხეულის ზრდის დაყოვნებითა და სიდაბლით გამოიხატება.

იგი გამოწვეულია ერთ-ერთი გენის სტრუქტურის ცვლილებით, რაც იწვევს ამ გენით კოდირებული ცილის გაძლიერებულ წარმოქმნას. ეს კი, თავის მხრივ, ბავშვის ზრდის პროცესში ხრტილის ძვლად გარდაქმნას აფერხებს, კიდურების ძვლების შენელებულ ზრდას იწვევს და, ამასთან, დაკავშირებულია ბევრ სხვა სიმპტომთან.

აქონდროპლაზიის მქონე ზრდასრული მამაკაცის სიმაღლე საშუალოდ 131 სანტიმეტრია, ხოლო ქალის - 123 სანტიმეტრი.

სასიხარულოა, რომ აქონდროპლაზიის სამკურნალო მედიკამენტი უკვე საქართველოშიც ხელმისაწვდომია. ძვირად ღირებულ წამალს სახელმწიფო აფინანსებს. ამერიკული კომპანიის მიერ წარმოებულ პრეპარატ „ვოზორიტიდით“ პირველ ეტაპზე ოთხი ბავშვი მკურნალობს. კვლევების მიხედვით, აქონდროპლაზიის სინდრომის მქონე ბავშვებს, რომელთა ძვლოვანი სისტემა არაპროპორციულად ვითარდება, „ბიომარინის“ მიერ შექმნილი წამალი ზრდაში ეხმარება. მშობლების ხანგრძლივი პროტესტის და აქციების შემდეგ, ჯანდაცვის სამინისტრომ აქონდროპლაზიის, როგორც იშვიათი გენეტიკური დაავადების, მართვის პროტოკოლი მოამზადა. პრეპარატის პირველი დოზა ინექციის სახით იაშვილის კლინიკაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გაკეთდა. „ვოზორიტიდი“ ამერიკის და ევროპის ბაზარზე 2021 წლიდან გამოჩნდა, თუმცა შესაძლო გვერდით ეფექტებზე არასრულყოფილი მონაცემების გამო, ჯანდაცვის უწყება მედიკამენტის შემოტანისგან თავს იკავებდა.

თაობა

„ანდაზა მითხარ, ძმობილო“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება წარჩინებული მოსწავლე, მრავალმხრივი ინტერესებითა და ინტელექტით გამორჩეული ***ნატალია ჩხარტიშვილი.*** *ის ახალი თაობის იმ ბათუმელებს ეკუთვნის, ამთავითვე ყურადღებას რომ იპყრობენ. ჯერ კიდევ მეათე კლასში იყო, როცა მკითხველს თავისი წიგნი „ანდაზა მითხარ, ძმობილო“ შესთავაზა. სწორედ ამ წიგნმა განაპირობა, რომ სასაუბროდ მოგვეწვია ეს საინტერესო, პერსპექტიული ახალგაზრდა.*

- ნატალია ჩხარტიშვილი - ნორჩი ფოლკლორისტი, წარჩინებული მოსწავლე, წიგნის, ადამიანების სიყვარულით გამორჩეული... რას დაუმატებდით?

- გმადლობთ! ამგვარ წარდგინებას რაღას დავუმატებ, ცოტა გაზვიადებულიც კია და გამაწითლა... ზეპირსიტყვიერება ბავშვობიდან ბებიამ შემაყვარა. ის ფოლკლორისტია, მრავალი წიგნის ავტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში ამ საგანს ასწავლის. ამასთან ერთად, წლების განმავლობაში ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ ფოლკლორისტთა წრეშიც დავდიოდი და ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი ამაგი აქვს ჩვენთვის გაწეული წრის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მაგისტრ მაია ჯაფარიძეს. წიგნები ჩვენი ოჯახის ძირითადი ატრიბუტია - რაც თვალი გავახილე, სულ წიგნებს ვუყურებ და ჩავყურებ... ასე ვიყავით და ვართ მე და ჩემი და - ქეთევანი. წიგნებს ყმაწვილობიდანვე სათუთად, შეიძლება ითქვას, საკრალურად ვეპყრობით. ადამიანების სიყვარულიც ოჯახიდან, სკოლიდან, ნათესავებისგან, მეზობლებისგან, ჩვენი თბილი ქალაქიდან ვისწავლე და სწორედ ამას ვთვლი ადამიანის ფეხბედნიერ მეგზურად.

- ახლა ეროვნული გამოცდებისთვის ემზადებით. რა პროფესიაზე აკეთებთ არჩევანს?

- გადაწყვეტილი მაქვს, დავეუფლო ფსიქოლოგის პროფესიას, რადგანაც მიზიდავს ადამიანის ფსიქოლოგია. ვფიქრობ, ამ პროფესიაში კარგად წარმოვაჩენ საკუთარ თავს.

- თქვენმა წიგნმა „ანდაზა მითხარ, ძმობილო“ ყურადღება მიიპყრო. როგორ დაიბადა ეს წიგნი?

- როგორც მოგახსენეთ, ბებია ყოველთვის თავისი სპეციალობის თვალსაწიერიდან გვიხსნიდა ცხოვრებისეულ მოვლენებს, გვიამბობდა სხვადასხვა ჟანრის ზეპირსიტყვიერ ნარატივებს, მათ შორის, ამა თუ იმ სიტუაციის შესაბამის ანდაზებსაც გვასწავლიდა. პატარაობიდან ბევრი ანდაზა და აფორიზმი ვიცოდით. კახეთსა და აჭარის სოფლებში ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს ხალხის მეტყველებას, ვიმახსოვრებდი და ვიწერდი ანდაზებს, სხვა ფრაზეოლოგიზმებს. ასე თანდათან დამიგროვდა ანდაზები, მერე ბებიამ წამაქეზა, გავზარდოთ შენი მონაგარი და წიგნად გამოვცეთო. იდეა მომეწონა, თავისუფალ დროს დავდიოდი ბათუმის უნივერსიტეტში და ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორული არქივიდან ვიწერდი ხალხურ ანდაზებს. ბებიის მეგობრები, უნივერსიტეტის პროფესორები: მამია ფაღავა, ნუგზარ მგელაძე, მალხაზ ჩოხარაძე, რამაზ ხალვაში და სხვები გულშემატკივრობდნენ ჩემს გატაცებას. ბატონი მამია ჩემი კრებულის რედაქტორია, ძალიან თბილი სიტყვებით დამილოცა გზა, „გამოკვეთილი ინტერესების მქონე შემდგარი მკვლევარი“ მიწოდა, რაც, ბუნებრივია, ძალიან ბევრს მავალებს... უაღრესად დიდი ბედნიერება იყო ისიც, რომ ღირსად ჩამთვალეს და მათთან ერთად წამიყვანეს ტაოს ექსპედიციაში. მიხარია, რომ ჩემ მიერ ჩაწერილი ფოლკლორული ნიმუშები შესულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის სოლიდურ კრებულში „ტაო“.

- გარემო, რომელშიც ცხოვრობთ და სწავლობთ - ვინ არიან ის ადამიანები, ფიზიკურ და სულიერ ზრდაში რომ გეხმარებიან, გაკვალიანებენ, ზრუნავენ თქვენზე?

- ისინი ჩემი ოჯახის წევრები არიან: დედა, უფროსი და, მამიდა, ბებია-ბაბუები, ბიძა-ბიცოლები, მეგობრები, ნათესავები. მათგან ყოველდღიურად ვსწავლობ სწორად ცხოვრებას. არ შემიძლია, უდიდესი მადლიერებით არ მოვიხსენიო სკოლა „გორდას“ პედაგოგიური კოლექტივი უსაყვარლესი ქალბატონ ნინო მურვანიძის ხელმძღვანელობით და ჩემი ახლანდელი მეორე საჯარო სკოლა, მისი გულთბილი პედაგოგები. მადლობა ყველას.

- ტაოს დიდი ექსპედიციიდან მოიგონეთ მომენტები, რომლებიც დაუვიწყარია და შთაგაგონათ, ფოლკლორის ქომაგი და შემსწავლელი გამხდარიყავით...

- ტაოს ექსპედიცია ჩემთვის უდიდესი სკოლა იყო - ის დღეები არასოდეს გაფერმკრთალდება ჩემს მეხსიერებაში. ტაოს ქართულ სოფლებში ქართულად მოლაპარაკეთაგან ჩავიწერე იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი ფოლკლორული მარგალიტები, ვნახე ქართული ისტორიული ძეგლები და, რაც მთავარია, ველზე მუშაობას ვეზიარე დიდებული მეცნიერების გვერდით.

- თითქმის მთელი ევროპა მოიარე - ნიდერლანდები, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი... შთაბეჭდილებები გვაინტერესებს და კიდევ - ვისთან ერთად მოგზაურობდით?

- მოგზაურობა ჩემთვის მხოლოდ ჰობი არ არის. ამ დროს ვისვენებ და ამავდროულად, ვეცნობი ქვეყნის კულტურას, გასტრონომიას, არქიტექტურას, ხელოვნებასა თუ ისტორიას. დამეთანხმებით, რომ მოგზაურობისას საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, ვისთან ერთად მოგზაურობ. ასეთი ადამიანები ჩემთვის ოჯახის წევრები არიან. ჩვენთვის მოგზაურობა საკმაოდ ბევრს ნიშნავს, რადგანაც ყოველდღიური რუტინული დღეების შემდეგ, მოგზაურობისას შეგროვებული მომენტები ერთმანეთთან უფრო გვაახლოებს და განტვირთვაში გვეხმარება.

- ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ემადლიერებით...

- წარმოუდგენლად მადლობელი ვარ ჩემი ოჯახის, განსაკუთრებით - ბებიის მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის, რომელიც მამოძრავებელი ძალაა ჩემი მცირედი წარმატებისა. რომ არა მისი ხელმძღვანელობა და წახალისება, არ ვიქნებოდი იქ, სადაც დღეს ვარ.

- როგორი ჟანრის ლიტერატურა გიზიდავთ? საყვარელი მწერლები, წიგნი, რომელსაც განმეორებით კითხულობთ... ელექტრონული წიგნები თუ ბეჭდური - არჩევანს რომელზე აკეთებთ?

- კითხვა ჩემთვის, უპირველესად, ცოდნის შეძენის, საკუთარი თავისა და გარემომცველი სოციუმის შეცნობის, გარდასულ ეპოქათა გაცნობის საშუალებაა, ამავე დროს, განტვირთვაც. მიყვარს დეტექტივების კითხვა, ასევე, ნოველის ჟანრის ნაწარმოებები. ჩემთვის და ალბათ, ყველა ქართველისთვის, საყვარელი მწერლებია ილია ჭავჭავაძე და ნოდარ დუმბაძე. ამ მწერალთა ნაწარმოებებით ლიტერატურაში პირველი ნაბიჯები გადავდგი და ვფიქრობ, ამიტომაც მიყვარს ასე ძალიან. უცხოელი მწერლებიდან გამოვარჩევდი ფრანც კაფკას. ისეთი დიდებული ნაწარმოები, როგორიც კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაა“, ერთი წაკითხვით შეუძლებელია გაიგო, რის გამოც განმეორებით ვკითხულობ და კიდევ არაერთხელ მივუბრუნდები. ელექტრონულ წიგნებზე მეტად ჩემთვის ბეჭდური წიგნებია მოსახერხებელი და სასიამოვნო, რადგანაც მშვენიერი ქართული ანბანის მიღმა ვჭვრეტ ჩვენი დიდებული წინაპრების ღვაწლსა და სიამაყით ვივსები.

- გარდა ლიტერატურისა, ხელოვნების კიდევ რომელი დარგები გიზიდავს?

- ჩემი აუცილებელი საზრდოა თეატრი და მუსიკა, მათგან სრულ სიამოვნებას ვიღებ, სულიერად ვიზრდები და ვიწვრთნები.

- ნატალია ჩხარტიშვილი ქართულის გარდა, კიდევ რა ენაზე საუბრობს? საინტერესოა ისიც, როგორ ფლობს ციფრულ ტექნოლოგიებს?

- მშობლიური ენის გარდა, თავისუფლად ვსაუბრობ და ვწერ ინგლისურად, ასევე, რუსულად. ამასთან, ვსწავლობ გერმანულსაც. ციფრული ტექნოლოგიები 21-ე საუკუნეში ადამიანების განუყოფელი ნაწილია, რომლებიც ყოველდღიურად გვიმსუბუქებენ საქმიანობას. თანამედროვე ტექნოლოგიები მეხმარება უკეთესად სწავლასა და განვითარებაში. დარწმუნებული ვარ, განახლებული ციფრული ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი მომავალშიც დამეხმარება კარიერულ წინსვლაში.

- ახალი თაობის ბათუმელი ხარ, რას ეტყოდი წინა თაობების ბათუმელებს, როგორია დღეს ქალაქი და როგორ ხედავთ მას მომავალში?

- არც კი ვიცი, ძველ თაობას რას ვეტყოდი, ამაზე არ მიფიქრია... ალბათ, მადლობას ვეტყოდი, რომ ჩვენამდე მოიტანეს ეს კოპწია ბუდე, უფრთხილდებოდნენ, ლექსებსა და სიმღერებს უძღვნიდნენ. ახალ თაობას ვეტყვი, რომ ბათუმს არ უნდა დავუკარგოთ ის ხიბლი, რომელიც ადრე ჰქონდა. ამაში ვგულისხმობ ძველებურ, პატარა, ქვებით მოკირწყლულ ქუჩებსა და რიკულებიან აივნებს. მიმაჩნია, რომ ბათუმს სრულებით არ უხდება ის ცათამბჯენები, რომლებსაც დღეს ვხედავთ.

ქალბატონი, რომელიც არა მხოლოდ სხეულის, სულის ტრანსფორმაციაშიც გვეხმარება

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

მარიამ ღვალი ბათუმში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ - თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი ფრანგული ენის სპეციალობით. შემდეგ თბილისის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ კოლეჯში მოღვაწეობდა, ამჟამად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობს. როგორც თავად გვითხრა, უყვარს ზღვა - სეზონს მარტში იწყებს და ოქტომბრის ბოლომდე ცურავს. გარდა ამისა, ყინულზე ფიგურული სრიალითაა გატაცებული, მუსიკის გარეშე კი არსებობაც ვერ წარმოუდგენია

მარიამმა დამატებით ფიტნეს-ინსტრუქტორის პროფესია შეითავსა და უკვე 15 წელია, ფიტნესსამყაროშია. თვლის, რომ ვარჯიში არა მარტო სხეულს, არამედ სულსაც წვრთნის და გაძლევს მოტივაციას, მეტი ემოცია ჩადო იმ საქმეში, რომელიც გიმყარებს თავდაჯერებულობას, ამავდროულად, ბევრად მიზანმიმართულსა და მებრძოლს გხდის.

- ქალბატონო მარიამ, თქვენს სამუშაო განრიგზე, ვარჯიშსა და კვების რეჟიმზე გვიამბეთ...

- მოგესალმები, მარიამ, დიდი მადლობა დაინტერესებისთვის და მოწვევისთვის. ჩემი დილა გაღიმებით და მადლიერებით იწყება. დილით სამსახურში მივდივარ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ვმუშაობ, დღის მეორე ნახევარი კი სპორტს უკავია, განაწილებული მაქვს კვირის დღეები - რამდენიმე დღე პირადი ვარჯიშები მაქვს და როგორც იცით, გოგონებს ვავარჯიშებ. რაც შეეხება კვებას, ვიკვებები სწორად და ჯანსაღად, დღეში სამჯერ.

- რა უნდა გავითვალისწინოთ ვარჯიშის დაწყებამდე?

- ყველას ვურჩევდი, ყურადღება გაამახვილონ ჯანმრთელობაზე. თუ ვინმეს ქრონიკული დაავადება აწუხებს, მიმართოს ექიმს, რამდენად შესაძლებელია მისთვის ვარჯიში. თუკი ყველაფერი წესრიგშია, ამის შემდეგ მკაფიოდ ჩამოყალიბდნენ, რისთვის და რა შედეგისთვის სურთ ვარჯიში, რა მიზნები აქვთ. ასევე, ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ ვარჯიში არ არის ერთჯერადი ქმედება, მას სჭირდება დიდი ნებისყოფა, სისტემატურობა. მხოლოდ ასე, დიდი შრომით და ნებისყოფით მიიღწევა სასურველი შედეგი. ვისაც სჭირდება ჭარბ წონასთან გამკლავება, ჩემი პირველი შეკითხვაა, არის თუ არა მზად „ბრძოლაში“ შესასვლელად, რაც დიდ ნებისყოფას და, მტკიცე გადაწყვეტილების მიღებას, სიყვარულს, რწმენას და, რასაკვირველია, ჩემს ნდობას გულისხმობს. მსურს, ეს საკითხები კარგად გააცნობიეროს საკუთარ თავში. დროს ვაძლევ მოსაფიქრებლად და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ, ერთიანი ძალებით, ბედნიერების გზაზე შედგომას. აქვე დავამატებ, ვინმეს რომ არ შეეშინდეს „ბრძოლის“ ხსენება, ბრძოლაში ვგულისხმობ მხოლოდ წინ სიარულს, შეჩერების გარეშე. აქ არ არის მკაცრი აკრძალვები, ამ გზაზე არის სწორად გადანაწილებული ჯანსაღი კვება, სწორად შერჩეული სავარჯიშო პროგრამა, რაც სიხარულით სრულდება.

> ***ძირითადად, არ იციან, რა ვარჯიშები სჭირდებათ, როგორი ტექნიკით, ამიტომ არის საჭირო მწვრთნელი. აი, მაგალითად: ხშირად მეუბნებიან, მე მხოლოდ მუცლის გაქრობა მინდაო. მხოლოდ მუცელი ცალკე არ „ქრება“, საჭიროა კომპლექსური ვარჯიში, სხეულის ყველა კუნთის დამუშავება. ხშირად იმაზე მეტად ვარჯიშობენ, ვიდრე საჭიროა, რაც ორგანიზმის გამოფიტვას და ამა თუ იმ კუნთის დაზიანებას იწვევს, პარალელურად, მკაცრ დიეტას ირჩევენ, შიმშილობენ***

- ვარჯიშის დროს რატომ არის მწვრთნელის აყვანა საჭირო?

- ეს აუცილებელია, რადგან თავდაპირველად არავინ იცის, რა და როგორ გააკეთოს, ესა თუ ის ვარჯიში როგორ სრულდება, როგორი ტექნიკით. გამოუცდელობით და უცოდინარობით შეიძლება ზიანი მიაყენო ჯანმრთელობას, რაც ძალიან ხშირია.

- ბევრი ფიქრობს, რომ მხოლოდ ვარჯიში დაეხმარება სასურველი ფორმების მიღებაში და კვებას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

- ვარჯიშს დიდი შედეგის მოტანა შეუძლია, მაგრამ თუ კვება ჯანსაღი და დაბალანსებული იქნება, ბევრად კარგ შედეგს იღებს ადამიანი.

- როგორც ვიცი, თქვენ არა მხოლოდ სხეულის ტრანსფორმაციაში, არამედ ამა თუ იმ შიშის, კომპლექსის დაძლევაშიც ეხმარებით ადამიანებს. რამდენად მნიშვნელოვანია სულიერი მდგომარეობა ამ დროს?

- პირველ რიგში, სანამ ვარჯიშს დავიწყებ, ჩემთვის მთავარია ადამიანის განწყობა, სულიერი მდგომარეობა. ვაკვირდები ჩემს გოგონებს, ვინ როგორ ხასიათზეა, ვცდილობ, შევუქმნა კარგი განწყობა და ვარჯიშს ვიწყებ სიტყვებით: მადლობა გადაუხადეთ საკუთარ თავს. ამ სიტყვებით მომენტალურად იცვლება ადამიანის ხასიათი, ვარჯიშიც სხვანაირად ხარისხიანი გამოდის. ხშირად გვავიწყდება მადლიერების გამოხატვა საკუთარი თავის მიმართ. როცა ადამიანი ფიქრობს და ზრუნავს ჯანმრთელობაზე, სილამაზეზე და ეს სურვილი ქმედებაში მოჰყავს, მიუხედავად დამღლელი დღისა, მაინც პოულობს ძალას, საღამოს ვარჯიშზე წავიდეს, განა ეს დასაფასებელი არაა? მსურს, გოგონები მშვიდი და ამაღლებული განწყობით წავიდნენ ჩემგან. ჩემთვის უმთავრესია მთლიანი პროცესი - ვარჯიში და სწორი კვება ადამიანისთვის იყოს სიხარულის და არა სტრესის მომტანი უაზრო აკრძალვებით. მინდა თითოეული მათგანი დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში.

- რა შეცდომებს უშვებენ ადამიანები ვარჯიშის დროს?

- მათ, ძირითადად, არ იციან, რა ვარჯიშები სჭირდებათ, როგორი ტექნიკით, ამიტომ არის საჭირო მწვრთნელი. აი, მაგალითად: ხშირად მეუბნებიან, მე მხოლოდ მუცლის გაქრობა მინდაო. მხოლოდ მუცელი ცალკე არ „ქრება“, საჭიროა კომპლექსური ვარჯიში, სხეულის ყველა კუნთის დამუშავება. ხშირად იმაზე მეტად ვარჯიშობენ, ვიდრე საჭიროა, რაც ორგანიზმის გამოფიტვას და ამა თუ იმ კუნთის დაზიანებას იწვევს, პარალელურად, მკაცრ დიეტას ირჩევენ, შიმშილობენ.

- გასახდომად როგორ ვარჯიშებს იყენებენ და რამდენად ეფექტურია?

- წონის მასის დასაკლებად საჭიროა სისტემატური და სწორად შერჩეული სავარჯიშო პროგრამა.

- რომელი ასაკიდან შეიძლება მოზარდისთვის ვარჯიში?

- სასურველია, ბავშვები თავიდანვე მივაჩვიოთ სპორტულ ცხოვრებას, ვატაროთ ტანვარჯიშზე, ცურვაზე, ან სპორტის იმ სახეობაზე, რომელიც მოსწონს, ხოლო როცა წამოიზრდება, თავად აირჩევს, რაც მისთვის სასიამოვნო და საინტერესო იქნება. ჩემთან 14 წლის გოგონებიც ვარჯიშობენ, ბევრ მათგანს მოუწესრიგდა ხერხემლის პრობლემა.

- რა აზრის ხართ, როცა 12-15 წლის მოზარდები პროტეინს მოიხმარენ?

- კატეგორიულად დაუშვებელია მოზარდებში სპორტული დანამატების მოხმარება, უმთავრესი ჯანსაღი კვებაა.

- ვისთვის არის აუცილებელი ტრენაჟორები და ვისთვის არ არის რეკომენდებული?

- ტრენაჟორებზე ვარჯიში ყველასთვის დასაშვებია, მთავარია, სწორად იყოს შერჩეული ვარჯიში, წონა, ასევე, შესრულების ტექნიკა. ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მწვრთნელი. ვისაც ხერხემლის პრობლემები აქვს, დიდი სიფრთხილე და პროფესიონალი, მცოდნე მწვრთნელი დასჭირდება.

- ვინც წონაში დაკლების მიზნით საღამოს 18:00 საათის შემდეგ არ იკვებება, რამდენად სწორად იქცევა?

- 18:00 საათის შემდეგ კვების კატეგორიულად აკრძალვა მიუღებელია, თუკი ადამიანი იძინებს 9 საათზე, მაშინ ეს დრო ბოლო კვებისთვის იდეალურია. დაძინებამდე სამი საათით ადრე მსუბუქი კვება დასაშვებია.

- ღამით ტკბილეულის ჭამა...

- რა თქმა უნდა, არ არის კარგი. თუ შევამცირებთ მის მოხმარებას, უმჯობესი იქნება.

- შესაძლებელია თუ არა, არასწორმა კვებამ სტრესი გამოიწვიოს?

- სწორედ არასწორი კვება იწვევს სტრესულ მდგომარეობას, გაღიზიანებას, აშლილობას, რაც ძალიან ცუდად სრულდება. ასეთი ადამიანები დაკლებულ კილოგრამებს ორმაგად იმატებენ.

- გოგონებს, ძირითადად, რა მოთხოვნები აქვთ და რამდენად ითვალისწინებენ თქვენს ინსტრუქცია-მითითებებს?

- ძირითადად, ჩემთან მოდიან ფორმების კორექციისთვის, ასევე, წონაში კლებისთვის, ხერხემლის პრობლემებით. მინდა სიამაყით გითხრათ, რომ გოგონები ითვალისწინებენ ჩემს რჩევებს, მენდობიან და ბოლომდე ერთგულად მომყვებიან, რისთვისაც თითოეულ მათგანს მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო. მათი შედეგებით ძალიან ბედნიერი ვარ.

- ფიტნესის სფეროში, თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, რა მითები არსებობს?

- ყველაზე გავრცელებული მითია, თითქოს 18:00 საათის შემდეგ ჭამა იწვევს წონის მატებას, რაც ასე არ არის. წონის მომატება ხდება მაშინ, როცა თქვენ მოიხმართ უფრო მეტ კალორიას, ვიდრე წვავთ მთელი დღის განმავლობაში. თუკი ბალანსი არსებობს მიღებულ საკვებსა და დახარჯულ ენერგიას შორის, წონის მატება არ ხდება. ბოლოს კი ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უამრავ სიხარულს, ჯანსაღ და მოხდენილ სხეულს, საკუთარი თავის რწმენას და სიყვარულს. მანდილოსნებო, თქვენ იმაზე მეტი შეგიძლიათ, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ნუ დაკარგავთ ძვირფას დროს, კვირაში სამი საათი გამოყავით თქვენი სილამაზისთვის და კარგი განწყობისთვის. დაფიქრდით, კვირაში სამი საათი ნუთუ ასე ბევრია სასურველი და ნანატრი ფორმების მისაღებად? მიიღეთ მკაფიო გადაწყვეტილება და იმოქმედეთ.

„ისინი მათი ხელფასების დასამალად იწვევენ ხალხს აქციაზე და არა – ევროპისთვის“

აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვლადიმერ მგალობლიშვილმა ტელეკომპანია „იმედისა“ და „პოსტ ტვ-ის“ ჟურნალისტებზე თავდასხმა დაგმო და განაცხადა, რომ მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები რეალურად, მათი ხელფასების დასამალად იბრძვიან და არა - ევროპისთვის

„პირველ რიგში, ვგმობ ფაშისტურ თავდასხმებს ტელეკომპანია „იმედის“ და „პოსტ ტვ-ის“ ჟურნალისტებზე და ვუცხადებ მათ მხარდაჭერას. საჭიროა თუ არა უპირობოდ პარტნიორების უარგუმენტო მოსაზრების გაზიარება და „გამჭვირვალობის“ კანონის მიღება? ცნობილი ინგლისელი პოლიტიკოსი, ბრიტანეთის ორგზის პრემიერ-მინისტრი ლორდი პალმერსტონი ამბობდა: „ჩვენ არ გვყავს მუდმივი მოკავშირენი, ისევე, როგორც არ გვყავს მუდმივი მტრები. მუდმივი და მარადიული ჩვენი ინტერესებია და ვალდებულება გვმართებს, ინტერესები დავიცვათ“. მისი აზრით, პოლიტიკა არის ის, როდესაც ნებისმიერ ვითარებაში გვსურს გავაკეთოთ ის, რაც საუკეთესო გვგონია და ვითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესს. ჩვენ გვახსოვს რამდენიმე მაგალითი, როდესაც მოკავშირეების მოთხოვნა არსებითად მცდარი იყო, ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ინტერესებს და შიდა საქმეებში უხეშ ჩარევას წარმოადგენდა. ესენია - ევროპარლამენტის რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა სააკაშვილის გათავისუფლებას საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით და ასევე შეწყალებას, ევროკავშირის 27 ქვეყნის დემარში, ასევე სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ამავე საკითხზე სასამართლოს სხდომამდე ერთი დღით ადრე. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ეს მცდარი მოთხოვნები არ შეასრულა, კანდიდატის სტატუსი მაინც მივიღეთ, ვინაიდან ევროკავშირმა მიიღო პრაგმატიზმზე დაფუძნებული ბრძნული გადაწყვეტილება.

ცნობილი პოლიტოლოგის, აკადემიკოს კენეთ მინოუგის განცხადებით, საერთაშორისო პოლიტიკაში მეგობრობა სენტიმენტალური ზედა ფენაა, რომელიც ეროვნულ ინტერესებზე დამყარებულ გათვლებს მალავს.

საქართველომ უნდა იმოქმედოს მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად. რადიკალების კატეგორიული მოთხოვნაა, რომ შიდა საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება, ნაცვლად ხალხის მიერ არჩეული პარლამენტისა, ხდებოდეს უცხოეთში, ვინაიდან ისინი სინამდვილეში უცხო ძალის გავლენის შიკრიკებს წარმოადგენენ, რომლებსაც არ აქვთ ხალხის მხარდაჭერა. დღეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის გარანტი, ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით, „ქართული ოცნების“ გუნდი და პრემიერი ირაკლი კობახიძეა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ აჩვენა მასტერკლასი, თუ როგორ უნდა დაიცვა საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მსოფლიო ლიდერებთან. ჩვენ არ დავდგებით ცალ ფეხზე და მყარად, ორივე ფეხზე დგომით დავიცავთ ჩვენს სისხლით მოპოვებულ დამოუკიდებლობას.

რაც შეეხება „გამჭვირვალობის“ კანონს, მდიდარ არასამთავრობოებსა და რადიკალურ ოპოზიციას შორის ზღვარი წაშლილია. ისინი ქართულ პოლიტიკაში სრულფასოვნად მონაწილეობენ, რასაც ადასტურებს შემდეგი ფაქტები: სააკაშვილის დაკავებიდან რამდენიმე დღეში, მდიდარი NGO-ები აცხადებდნენ, რომ სააკაშვილის მიმართ იკვეთებოდა პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება და ითხოვდნენ, პრაქტიკულად, მის გათავისუფლებას.

მოგვიანებით ეს ორგანიზაციები, „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, ჩაერთნენ სააკაშვილის მიმართ გამოცხადებულ სიკვდილის ცრუ ქრონიკაში სახელწოდებით - „მიშას კლავენ“, მუდმივად ითხოვდნენ მის საზღვარგარეთ გაგზავნას, რითაც ეწეოდნენ საქართველოს დისკრედიტაციას. კრიმინალ გრიგორიადისს აცხადებდნენ პოლიტპატიმრად, რომელიც თვითონ აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს. საპარლამენტო არჩევნების დროს, რევოლუციისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, გააყალბეს არჩევნების პარალელური დათვლის შედეგები. კულმინაცია გახლდათ მათი მხრიდან მთავრობის გადადგომის მოთხოვნა და ტექნიკურ მთავრობაში, არც მეტი არც ნაკლები, მათი ხილვა, სავარაუდოდ, პრემიერად კი ნინო ლომჯარიას დანიშვნა.

დღეს, მდიდარი არასამთავრობოების გარდა, პოლიტიკაში მონაწილე ყველა პირი ავსებს დეკლარაციას. მათ კი გამჭვირვალობის ისე ეშინიათ, როგორც ეშმაკს სანთლის. გამოდიან და ხალხს მოუწოდებენ მხარდაჭერისკენ. მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ მდიდარი არასამთავრობოების ხელმძღვანელების ანაზღაურება 15-დან 20 ათასი ლარის ფარგლებში მერყეობს. ისინი მათი ხელფასების დასამალად იწვევენ ხალხს აქციებზე და არა ევროპისთვის.

ეს კანონი აუცილებლად მისაღებია. როგორც აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი იტყოდა: „მიეცით ხალხს შესაძლებლობა, იცოდეს ფაქტები და ქვეყანა იქნება უსაფრთხო. ღირსება თავისუფლების საწინდარია“, „ღირსებით ევროპისკენ!“ - აცხადებს ლადო მგალობლიშვილი.

ორჰან ბერიძე: ვინც საქართველოს ებრძვის, არც კი იცის, რომ დამარცხებულია

„ჩვენებურების ქართული და ჩვენებური სიყვარული“ - ასე ერქვა საღამოს, რომელიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტმა გამართა

შეხვედრაზე განსაკუთრებულად მოეფერნენ თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებს და მადლობა გადაუხადეს ქართული სიტყვისა და ადათ-წესების სადარაჯოზე დგომისთვის, საქართველოს, ქართული ენის სიყვარულისთვის. სცენაზე ლექსს სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერას - ცეკვა. ახალგაზრდებმა თავიანთ ხელმძღვანელთან, პროფესორ შორენა მახაჭაძესთან ერთად, დიდი სიყვარულითა და სითბოთი სავსე ორი საათი აჩუქეს შეკრებილებს და კიდევ ერთხელ გვაგრძნობინეს, რომ ერს, რომელსაც ასეთი კულტურული მემკვიდრეობა აქვს საგანძურად, ასე სათუთად ეფერება ხმათა ხავერდებისა და ღმერთების ენას, გადაშენება არ უწერია.

- დღევანდელ ღონისძიებაზე შემთხვევით არ შევაერთეთ „ჩვენებურების“ ქართული და ჩვენებური სიყვარული, - ქართული ენა არის სიყვარულის ენა. აი, ამ სიყვარულმა მოიყვანა საქართველო დღემდე და ეს სიყვარული გადაარჩენს კიდეც. შეიძლება, დღეს ცოტა გვიჭირს სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ სცენაზე თუ დარბაზში მყოფ უმშვენიერეს, უნიჭიერეს ახალგაზრდებს რომ ვუყურებ, რომლებიც კიდეც შრომობენ, კიდეც სწავლობენ, ლექსიც უყვართ, სიმღერაც და ცეკვაც, მჯერა, საქართველოს ლამაზი, ბედნიერი მომავალი ექნება. დღეს ჩვენებურებს განსაკუთრებით მოვეფერეთ, რადგან ძალიან ძნელია, იქართველო იქ, სადაც საქართველოს, ქართულ ენას კრძალავდნენ. როგორი ძლიერია ჩვენი გენი, ჯიში, სისხლი, რომ იქ ქართველმა ნენემ გადაარჩინა ქართული ენა, ჩვენი იდენტობის მთავარი საფუძველი. ჩვენ, თუკი ვისაუბრებთ ქართულ ენაზე და ამ ენას შევინარჩუნებთ, მერწმუნეთ, ამით შევინარჩუნებთ იმას, რასაც ქართველი ხალხი, ერი, გენი და ჯიში ჰქვია, - გვითხრა, ღონისძიების ორგანიზატორმა, პროფესორმა შორენა მახაჭაძემ.

როგორც თურქეთში მცხოვრებმა ჩვენებურმა ორჰან ბერიძემ აღნიშნა, საქართველოში ყოველი ჩამოსვლა მშობლების სახლში დაბრუნების განცდას უღვიძებს, შეგრძნებას, რომ ყველა სიცარიელე, რაც მის სულში აქამდე იყო, ერთბაშად ამოივსო და ბედნიერების მეცხრე ცაზეა.

- 61 წლის ვარ, მაგრამ როცა საქართველოში მოვდივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, დაოჯახებული გოგო მამის სახლში რომ მივა სტუმრად. აქ ბავშვად ვგრძნობ თავს, ბავშვური აღტაცებით მიყვარს ყველა და ყველაფერი. დღევანდელმა ღონისძიებამ უდიდესი სიამოვნება მომანიჭა, რამდენჯერმე ცრემლიც კი მომგვარა. ბებია-ბაბუები გამახსენდა, რომლებიც ქართულ ლექსებს, აჭარულ ცეკვას აღმერთებდნენ, უფრთხილდებოდნენ. ძალიან დიდი მადლობა თქვენ, ასე რომ აფასებთ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, ასე რომ გახსოვთ და გიყვართ ისინი. თქვენ რომ არ გებრძოლათ, არც დედაენა გვექნებოდა დღეს და არც ქართული კულტურა, ამიტომაც ძალიან გაფასებთ მე - თურქეთელი ქართველი და მეამაყებით. მინდა ჩემი დაწერილი ლექსი წაგიკითხოთ, რომელსაც გაზეთ „აჭარის“ მკითხველებსაც ვუძღვნი:

საქართველოს მთის ლაჟვარდებს სხვა
ფერი აქვს,
საკმეველის სუნი ასდის მიწას,
ქალის მანდილს ქართლის დედის სხივი
ქარგავს,
აბა, როგორ არ მიყვარდეს, მითხარ?
ქართველები - მგლის ლეკვისებრ
გამოზრდილნი,
მეც ძარღვებში სისხლი მიჩქეფს ქართული,
მზის სხივებით დაწერილი დედაენა,
ავამღერე სიმგაწყვეტილ ფანდურით.
აბა, როგორ არ მიყვარდეს მიწის გულში,
ჩემი მოდგმის, ჩემი გენის ფესვები,
შორი მთიდან, ჩემო დედა, საქართველოვ,
გეფერები ცრემლდანამულ ლექსებით.
თურქეთსა და საქართველოს უფსკრულს
ვავსებ,
მე მათ შორის ხიდადაც ვარ გადებული,
აბა, როგორ არ მიყვარდეს დედასავით,
საქართველოს კარი ჩემთვის გაღებული.
მე ხომ ორი სამშობლო მაქვს საფიცარი,
ქართველ თურქთა შერწყმულ გენთა
თავოსანი,
საქართველო გულის ფსკერზე მიწერია,
ხელისგულზე - შოთას „ვეფხისტყაოსანი“.

მინდა, დალოცვილი იყოს ჩემი საქართველო. მადლობა ღმერთს, რომ ქართველები ვართ და თუ ვინმეს ეს რცხვენია, ვაი, იმას. ვინც საქართველოს ებრძვის, არც კი იცის, რომ ის უკვე დამარცხებულია. გაუმარჯოს ჩვენს ჯიშს, დედასავით საყვარელ დედასამშობლოს, - გვითხრა ორჰან ბერიძემ.

განცხადებები

ასლან ვარშანიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ზაზა ფალავანდიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



შპს „გაზეთ აჭარისა და ადჟარიას“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „აჭარის“ ყოფილი თანამშრომელი, რედაქციის საკომპიუტერო ცენტრის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი
ზაზა რიურიკის ძე ფალავანდიშვილი
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

«აჭარაში» განთავსებული განცხადებების ღირებულება



სამგლოვიარო განცხადება: სიტყვა 30 თეთრი

ნეკროლოგი: სიტყვა 30 თეთრი

მილოცვა: სიტყვა 50 თეთრი

აუქციონები: სიტყვა 50 თეთრი

ფოტომილოცვა: ფოტო 5 ლ. სიტყვა 50 თ.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს.
ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემლობის რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია» პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/04/24, 19 ²⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ქალბატონები, რომლებიც უხდებიან ბათუმს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარაში მცხოვრებ წარმატებულ ქალბატონებს - ნინო ნიჟარაძეს, თინა შიოშვილს, ნარგიზ აბაშიძეს, რუსუდან შავიშვილს, ბელა ქებურიას, რომელთაც სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი, აჭარის მწერალთა სახლში შეხვედრა მოუწყვეს. საღამოს ორგანიზატორები საქართველოს საკუტური მოძრაობის აჭარის ორგანიზაცია (პრეზიდენტი - შორენა ლომაძე) და მწერალთა სახლი (დირექტორი - ლალი კონცელიძე) გახლდათ. აქვე მხატვარ ნინო ნიჟარაძის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. საკუტლიდერმა ნათია გეგუჩაძემ, რომელსაც შეხვედრა მიჰყავდა, შეკრებილ საზოგადოებას მოკლედ შეახსენა მოწვეული ქალბატონების ღვაწლი. ეკრანზე სპეციალურად ამ დღისთვის მომზადებული ვიდეორგოლი აჩვენეს

მხატვარი ნინო ნიჟარაძე თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის კინომხატვრობის განყოფილების დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. იყო ბათუმის სამხატვრო სასწავლებლის სპეცსაგნების მასწავლებელი, ბათუმის თოჯინების თეატრის მთავარი მხატვარი, მხატვრის სახლის მთავარი მეთოდისტი, ბავშვთა ხელოვნების სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი, აჭარის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი. მისი უდიდესი დამსახურებაა, რომ ხელოვნების მუზეუმში არსებული ფონდები დღემდე სათანადოდაა დაცული. საპატიო ბათუმელს შექმნილი აქვს გრაფიკული სერია „ძველი თბილისი“, „თეატრი“. მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, არის რამდენიმე წიგნის ავტორი.

ნარგიზ აბაშიძეს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული ფილოლოგიის განხრით. სხვადასხვა დროს მუშაობდა განათლების სფეროში, ქართულ და რუსულ ენებს ასწავლიდა არაერთ სკოლაში, ასევე, ინდუსტრიულ სასწავლებელში, იყო სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორი, საბავშვო ბაღის გამგე, მემედ აბაშიძის სახლ-მუზეუმის დირექტორი. წლების განმავლობაში ხელძღვანელობდა საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილს“, რომლის ეგიდით, მეუღლე თეიმურაზ კომახიძესთან ერთად, უამრავ კეთილ საქმეს ჩაუყარა საფუძველი. გამოსცა არაერთი წიგნი, ააგო რამდენიმე სკოლა, მუზეუმი, გახსნა სახელოვნებო სივრცე, მთელი ქვეყნის მასშტაბით არაერთ ხელმოკლე ოჯახს დაეხმარა, არის ხელვაჩაურისა და ჭიათურის საპატიო მოქალაქე.

მეცნიერმა, ლიტერატურისა და ფოლკლორის მკვლევარმა, მთარგმნელმა, ბათუმის უნივერსიტეტის პროფესორმა თინა შიოშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. 1981 წლიდან, სხვადასხვა დროს მუშაობდა ბსუ-ში პედაგოგიკა-ფსიქოლოგიისა და ქართული ლიტერატურის კათედრებზე. 2007 წლიდან უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორია. 2014 წლიდან ამავე ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია. სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, აქტიურადაა ჩართული შემოქმედებით საქმიანობაში - სხვადასხვა ეპოქის მსოფლიოს ცნობილი პოეტების ლექსთა მისეულმა თარგმანებმა მკითხველის მაღალი შეფასება დაიმსახურა, თავადაც შესანიშნავ ლექსებს წერს. არის მრავალი სამეცნიერო და პუბლიცისტური გამოცემის ავტორი.

აჭარის ჯანდაცვის ფონდის ხელმძღვანელი რუსუდან შავიშვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელოვანი პროექტების მენეჯერად, სამედიცინო პერსონალის ადმინისტრირების სპეციალისტად. იყო აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე. 2018 წლიდან დღემდე აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს ხელმძღვანელობს.

პოეტმა და საზოგადო მოღვაწე ბელა ქებურიამ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში - ნორჩ შემოქმედთა კლუბ „ზღვაურის“ ხელმძღვანელი, ასევე, ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა კონკურს „ზღვაურისა“ და ამავე სახელწოდების ლიტერატურული ალმანახის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. აქტიურადაა ჩართული ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედთა აღზრდაში. არის არაერთი წიგნის ავტორი. მისი ლექსები თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. არის ტბელ აბუსერისძის, ზურაბ გორგილაძის, მარიკა ბარათაშვილის და სხვა არაერთი მნიშვნელოვანი პრემიის მფლობელი. მინიჭებული აქვს „წლის ხელოვანი - დიდოსტატის“ ტიტული...

- ასეთი წუთები ძალიან ბევრს ნიშნავს ადამიანისთვის, ამიტომ ხშირად უნდა მოვეფეროთ, სულში ჩავხედოთ ერთმანეთს. რამდენი ძვირფასი ქალბატონია ჩვენ ირგვლივ. დრო ისე გარბის, უკან მოხედვას ვერ ვასწრებთ, ამიტომ ასეთი ადამიანები დღეს უნდა დავაფასოთ. მათ მაგალითზე უნდა იზრდებოდეს თაობები. მიხარია, რომ ამ ქალბატონებთან ერთად არაერთი წელია მოვდივარ, - აღნიშნა ბათუმის მუსიკალური ცენტრის ოფისის მენეჯერმა ჩიტო ომერაძემ.

- ჩვენს კუთხეში ძალიან დაფასებული არიან დედაქალბატონები. ვინც დღეს მოიწვიეს შეხვედრაზე, ჩემთვის უძვირფასესები არიან, თითოეულზე ბევრი კარგის თქმა შეიძლება, ისინი ნამდვილად მოსაფერებლები არიან, - თქვა მწერალმა ნიაზ ზოსიძემ.

აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დავით თედორაძემ ნარგიზ აბაშიძეს დიპლომი გადასცა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს მწერალთა ორგანიზაციამ (თავმჯდომარე - მაყვალა გონაშვილი) მას „ქართული კულტურის ქომაგის“ წოდება მიანიჭა.

ქალბატონებს გულთბილად მიმართეს ბათუმელებმა: ნათია ბერიძემ, ნერიმან ცინცაძემ, მაიკო ბერიძემ და სხვებმა. აჭარის სკაუტური ორგანიზაციის სახელით შორენა ლომაძემ ქალბატონებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

„ბათუმი – ფოტოგრაფთა ობიექტი“ ხელოვნება კურნავს სულს....

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ამ სახელწოდების ფოტოგამოფენა მოეწყო ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურ მუზეუმში, რომელზეც საზოგადოების წარმომადგენლები, მათ შორის, სკოლის მოსწავლეები, ჩვენი ქალაქის ცნობილი ფოტოხელოვანები იყვნენ მიწვეულნი. ექსპოზიციაზე მე-19 საუკუნის დასაწყისში გადაღებული, 1913 წლით დათარიღებული ფოტოები იყო წარმოდგენილი

დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა, ფოტოზე ასახული ენახა ქალაქის სამმართველოს, ქალთა გიმნაზიის შენობების, მარიას გამზირის („Марийский проспект“), ქალაქის ბულვარის სანაპირო ხედები, ბულვარის მთავარი ხეივანი, მწვანე კონცხი, ქალაქის საავადმყოფო, დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა, ნურიეს ტბა და ბათუმის ნავმისადგომი, რომელთა ავტორები უცნობია. ვიზიტიორებმა ფოტოების ნახვით დიდი სიამოვნება მიიღეს და ამ სიამოვნებას ფონად გასდევდა „სიმღერა ბათუმზე“.

რატომ გადაწყდა ასეთი გამოფენის გახსნა? როგორც ძმები ნობელების სახელობის მუზეუმის მმართველმა მედეა ჩარკვიანმა გვითხრა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში დაცული ფოტოები, რომლებიც არასოდეს გამოფენილა და, ამდენად, ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა.

- გვინდა, გავაკეთოთ ბათუმური ფოტოების ციკლი და ეს ქალაქის ისტორიიდან დავიწყეთ - გასული საუკუნის ოციანი წლებიდან. თანდათან ყველა წელს მოვიცავთ, 21-ე საუკუნემდე მოვალთ და თანამედროვე ფოტოგრაფთა ნამუშევრებსაც წარმოვადგენთ, ეს ხომ ფოტოებში შენახული ჩვენი სიმდიდრეა, - გვითხრა მედეა ჩარკვიანმა.

გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ორგანიზატორებმა მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელს საინტერესო აქტივობაც შესთავაზეს - მათ „ნატვრის ხეზე“ ოთხ კითხვაზე პასუხგაცემული ფერადი ფურცლები უნდა დაეკიდათ. შეთავაზებული კითხვები ქალაქს შეეხებოდა: რა ფერთან ასოცირდება შენთვის ბათუმი? რომელია შენი საყვარელი ადგილი? რა აკლია ბათუმს? როგორი გინდა, რომ იყოს მომავალში შენი ქალაქი? სტუმრებმა კითხვებს საინტერესო პასუხები გასცეს. როგორც ფოტოხელოვანმა სეირან ბაროიანმა გვითხრა, მისთვის ბათუმი თეთრ ფერთან ასოცირდება, საყვარელი ადგილი ბულვარია, დღეს ქალაქს ერთგული ბათუმელები აკლია, მომავალში კი ქალაქში მეტი პარკისა და შადრევნის ხილვა სურს. სხვათა შორის, პასუხებში უმეტესობამ აღნიშნა, რომ საყვარელი ადგილი ბათუმის ბულვარი, ზღვის სანაპირო, ძველი ბათუმი, ქალაქის პარკია...

- აქ გამოფენილ ფოტოებზე აღბეჭდილი ადგილებიდან თუ შენობებიდან ზოგი უკვე აღარ არის, ზოგი დღესაც ბათუმის სავიზიტო ბარათია. ჩანს, როგორ ვითარდებოდა და შენდებოდა ქალაქი, რა ტიპის შენობებს ექცეოდა ყურადღება, - აღნიშნა პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

შეკრებილებმა დოკუმენტური ფილმიც ნახეს ბათუმზე.

ხელოვნება სულს....

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის ხელოვნების მუზეუმში ხელოვნების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საინტერესო გამოფენა მოეწყო, რომელზეც გრაფიკული, ფერწერული და სკულპტურული ნამუშევრები იყო წარმოდგენილი

- 15 აპრილს მსოფლიო ხელოვნების დღეს აღნიშნავს. ცხადია, ამ ინიციატივას შეუერთდა აჭარის ხელოვნების მუზეუმი და ჩვენ ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი გამოფენა მოვაწყვეთ. სკულპტურებთან, გრაფიკულ და ფერწერულ ტილოებთან ერთად, წარმოდგენილია გასული წლის განმავლობაში პროექტების „ლიტ არტის“, „სტუდ არტისა“ და „მუს არტის“ ფარგლებში შექმნილი, გამორჩეული ნამუშევრები. დღეს სიყვარულის დღეც არის. ამასაც ვეხმიანებით - ერთ-ერთი მთავარი ექსპონატია ირაკლი წულაძის სკულპტურა „გულის გზა“, სადაც დალაგებულია გულის ფორმის კონვერტები. გვჯერა, აქ მოსული ის ვიზიტიორი, რომელიც ჯერ კიდევ სატრფოს ძიებაშია, ამ ექსპონატის წყალობით მას იპოვის. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ განსაკუთრებულ დღეს ხელოვნების მუზეუმში ვხვდები. ეს არის ჯადოსნური ადგილი, განსაკუთრებული ქარიზმით, ენერგიითა და სიყვარულით. აქ მოსული ყველა ადამიანი ძალიან ბედნიერად გრძნობს თავს. მე ყველას ხშირად ვეუბნები, რომ შეუძლებელია, იყიდოთ ბედნიერება, მაგრამ შეგიძლიათ, იყიდოთ მუზეუმის ერთი ბილეთი, რაც ბედნიერების ტოლფასია. დღეს, ხელოვნების მუზეუმის თანამშრომელთა ინიციატივით, მუზეუმში ვიზიტი უფასოა, - გვითხრა ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ.